ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი, 2017 №283 (7518) ფასი: 50 თეთრი

## ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია?



მისთვის სახელმწიფოს 4.000 ევროს გადახდა მოუწევს

გვ.3

28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილი

ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

# ლევან ჩაჩუა: „ლომჯარია ანტისახალხო დამცველი იქნება“



გვ.5

„საზოგადოებამ ხელისუფლების ცრუ დაპირებებზე სერიოზული რეაგირება უნდა მოახდინოს“




## „ცხედარი სასტიკად არის დაზიანებული, მაგრამ ის ნამდვილად ახმედია“

ბინა ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე დიდი ხანია, სპეცსამსახურების ყურადღების ობიექტია



გვ.2



გვ.4

## „ბათუმის „ლეოგრანდში“ სახანძრო საყვირიც კი არ ჩაირთო“

მამუკა ტუსკაძე: „სახანძრო უსაფრთხოებაზე კანონი არ არსებობს“

**სამართალი** გვ.7

### საგადასახადო სამართალდარღვევის 763 ფაქტი გამოვლინდა






### ხიდისთავში მანქანა მდინარეში გადავარდა — გარდაცვლილია ერთი პირი

### „ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გირგვლიანის საქმეზე დაკავების სანაცვლოდ ბრალდებულებმა 100.000 დოლარი მიიღეს“



### ხანძარი სოხუმში — ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სავაჭრო ცენტრს ცეცხლი გაუჩნდა



**ეკონომიკა** გვ.6

### საწვავი თითქმის ყოველდღიურად ძვირდება



### შეიხი ალ ნაჰიანი საქართველოში ინვესტიციის მოცულობას აორმაგებს



### ნიკა შენგელია: „საქართველოში საშუალო ფენა ვერ შეიქმნება“



### დავით სერგეენკო: „მინისტრების ხელფასები შემცირდება“



ISSN 1987-9385

9 771987 938006

3 კახა კალაძის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი შსს-ს დაცვის პოლიციის უფროსად დაინიშნა

4 სანდრო ბრეგაძე: „ნინო ლომჯარია „ოცნების“ უმრავლესობას ომბუდსმენად არ უნდა“

3 დავით დარჩიაშვილი: „არ გამოვრიცხავ, ჩატაევი რუსეთის აგენტი იყო და მათი მითითებით მოქმედებდა“

5 რატომ ნადგურდება კივის მოსავალი დასავლეთ საქართველოში

# „ცხედარი სასტიკად არის დაზიანებული, მაგრამ ის ნამდვილად ახმედია“



## ბინა ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე დიდი ხანია, სპეცსამსახურების ყურადღების ობიექტია

შორენა მარსაგიშვილი

**თბილისში ჩატარებულ ანტიტერორისტულ ოპერაციასთან დაკავშირებით კითხვები არ იკლებს. ყოველდღიურად ახალ-ახალი დეტალები ვრცელდება, რაც საყოველთაო დაბნეულობას კიდევ უფრო ართმავებს.**

ახმედ ჩატაევის შესაძლო ლიკვიდაციის შესახებ პირველი ინფორმაცია სპეცოპერაციის დასრულებისთანავე გავრცელდა. ამაზე პირველი თადარიგის პოლკოვნიკი დავით მაყიშვილი ალაპარაკდა.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ცნობით, ჩატაევმა თავი შაჰიდის ქამრით აიფეთქა.

ტელეკომპანიის ინფორმაციითვე, ის პირი, რომლის ლიკვიდაციაც ეზოში მოხდა, ისლამური სახელმწიფოს იუსტიციის მინისტრი გურამ იგივე ადამ გუმაშვილია. ეს უკანასკნელი წარმოშობით პანკისიდან არის.

ადამ გუმაშვილის ლიკვიდაციის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ მისი ნათესავები. ზაურ გუმაშვილი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ მისი ძმისშვილი ადამ გუმაშვილი საქართველოში არ იმყოფება. მისივე მტკიცებით, ლიკვიდირებულად შერაცხული ამ დღეებში ოჯახს ტელეფონით დაუკავშირდა.

მედიით გავრცელებული ფოტოდან, რომელზეც აფეთქების შედეგად შეიარაღებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის დანაწევრებული სხეულია ასახული, ახლობლებმა ახმედ ჩატაევი ამოიცნეს.

– ცხედარი სასტიკად არის დაზიანებული, მაგრამ თავის, ყურისა და პროთეზის, ასევე იმ ინფორმაციის მიხედვით, რომლის მოპოვებაც ჩვენ შევძელით, ის ნამდვილად ახმედია.

როგორც გამოვარკვიეთ, ის საქართველოში დიდი ხნის შემოსული არ არის. დაახლოებით ერთ თვეზე მეტია აქ იმყოფებოდა რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად. ისინი აპირებდნენ, საქართველოში გამოეზამთრებინათ, რის შემდეგაც აქედან გასვლასა და „კავკასიის იმირატში“ დაბრუნებას გეგმავდნენ, – უთხრეს ჩატაევის ახლობლებმა „რეგინფოს“.

გამოცემასთან საუბარში ახლობლები ამბობენ, რომ ისინი მზად არიან, გარდაცვლილი მუსლიმური წესით დაკრძალონ. ახლობლები ექსპერტიზის პასუხს ელოდებიან.

– თუ ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ნამდვილად ის არის, ალბათ დღის წესრიგში დადგება მისი დაკრძალვის საკითხი. არ გვაქვს ჯერ გარკვეული, ცოლის ოჯახში მიიღებენ თუ არა სამძიმარს, მაგრამ მის დაკრძალვას არ მოვერიდებით, – აღნიშნეს ჩატაევის ახლობლებმა „რეგინფოსთან“ საუბარში.

21-საათიანმა სპეცოპერაციამ გააჩინა ეჭვი, რომ ბინაში 3 ადამიანზე მეტი იმყოფებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, ჯგუფის ორმა წევრმა გაქცევა მოახერხა. მედიაში გაქცეულების სავარაუდო ფოტოებიც გავრცელდა. როგორც ამბობენ, მათი სახეები გარე პერიმეტრის კამერებმა დააფიქსირა. მედიაში იმის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს ფოტოები სამართალდამცავებს დაურიგეს.





სპეცოპერაციის დროს 2 ადამიანის გაქცევის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც, თანამდებობიდან გამომდინარე, საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი, გვპირდება, რომ მალე ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.

– არანაირი ორი ადამიანი არ გაქცეულა. მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ აბსოლუტურად ყველა კითხვას პასუხი გაეცემა, ამიტომ ოპოზიციის მიერ გამოთქმული ეჭვები აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივცეთ გამოძიებას საშუალება, გარკვეული პროცედურები გაიარონ, – განმარტავს სესიაშვილი.

მეტი დამაჯერებლობისთვის ის გვახსენებს, რომ გამოძიებაში ამერიკელებიც არიან ჩართული, ამასთან, ყველას სთხოვს, ვიწროპოლიტიკური გამოხდომებისგან თავი შეიკავონ.

– იცით, რომ ჩვენი ამერიკელი პარტნიორებიც არიან ჩართული, რაც, თავისთავად ცხადია, ზრდის გამოძიების ეფექტიანობას, ამიტომ იქ, სადაც ჩვენ ჩვენი ძალების, ჩვენი მიდგომების კონსოლიდირების ერთგვარი ვალდებულებაც კი გაგვაჩნია, მე ყველას მოვუწოდებ, რომ ვიწროპოლიტიკური რალაც გამოხდომები, ინტერესები გვერდზე გადავდოთ, რათა ჩვენი ქვეყნის საერთო ინტერესი იყოს მშვიდობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება. გარწმუნებთ კიდევ ერთხელ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არ გაურბის არანაირ კითხვას, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენს ინტერესშია, – აღნიშნავს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

მისი თქმით, ამ პროცესებში აუცილებლად იქნება ჩართული პარლამენტი. რამდენიმე დღის წინ ოპოზიციამ სუსის უფროსი პარლამენტში დაიბარა. სესიაშვილი ამბობს, რომ ძალოვნები დეპუტატების კითხვებს პასუხს გასცემენ.

– ამ პროცესში ჩართული იქნება პარლამენტი. პარლამენტის ინფორმირება მოხდება იმ ფორმით, როგორც ეს საერთო ინტერესებს მოემსახურება და არანაირად არ არის ინფორმაციის დამალვა. ყველაფერს თავისი დრო სჭირდება, გამოძიებას სჭირდება თავისი დრო. ცხადია, მხოლოდ ეჭვებსა და ვარაუდებზე გამოძიება ვერ ისაუბრებს. ხაზს გავუსვამ, რომ გამოძიება ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს. ჩვენი სპეცსამსახურები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ, – ამბობს სესიაშვილი.

მას გასულ წელს ჩატაევთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო პრობლემები შეექმნა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სტამბოლის აეროპორტის აფეთქებაში ჩატაევის ხელი ერია, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები, რატომ გამოუშვა ის ციხიდან საოცნებო ხელისუფლებამ.

განსაკუთრებით ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურობდნენ. ისინი „ოცნებას“ საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირს სდებდნენ ბრალად. მათ საპასუხოდ სესიაშვილმა თქვა, რომ ჩატაევთან ნაციონალები იყვნენ დაკავშირებული და ის მათი აგენტი იყო.

ამ განცხადების შემდეგ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ პროკურატურას განცხადებით მიმართა. მისი თქმით, სესიაშვილმა სახელმწიფო საიდუმლო გაამჟღავნა და ამაზე გამოძიება უნდა დაიწყოს.

* * *

ვიდრე გამოძიება სრულ სიმართლეს გვეტყვის, საზოგადოება სხვადასხვა ვერსიას ისმენს. სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ბევრი კითხვაა. გაცილებით მეტია კითხვები იმაზე, თუ ვინ შემოუშვა ეს ადამიანები საქართველოში.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი მიიჩნევს, რომ ჩატაევთან დაკავშირებით იკვეთება სამი სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურის ინტერესი. პირველ რადიოსთან საუბარში შაშკინი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას პასუხის გაცემა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის კი არა, სამი ქვეყნის ხელისუფლებისთვის მოუწევს.

– ჩატაევთან პრეტენზია ჰქონდათ თურქებს ათათურქის აეროპორტის აფეთქების გამო, ამერიკელებს – სირიის გამო, რუსებს – ჩეჩნეთის გამო. სამივე ქვეყანას სხვადასხვა მიზეზი და მიზანი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მთავრობას პასუხის გაცემა მოუწევს ამ სამი ქვეყნისთვის, თუ როგორ მოხვდა ეს ადამიანი საქართველოში, – ამბობს შაშკინი.

ექსმინისტრი პირველ რადიოსთან საუბარში ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება სამი ქვეყნის სპეცსამსახურებს ვერ მოატყუებს. აქედან გამომდინარე, შაშკინი ურჩევს შესაბამის უწყებებს, სიმართლე თქვან.

ყოფილი დეპუტატი პაატა დავითაია მიიჩნევს, რომ ჩატაევი საქართველოში მყარი გარანტიების მიღების გარეშე არ შემოვიდოდა. მას ყველაზე მეტად იმის გაგება აინტერესებს, ვისი დახმარებით შემოვიდა მსოფლიოში ცნობილი ტერორისტი საქართველოში.

პაატა დავითაიას აზრით, სპეცოპერაციის არსებული ოფიციალური ვერსია რეალობისგან ძალიან შორს დგას. მას ხელისუფლების დუმილიც აეჭვებს.

– ჩატაევი იყო რუსეთის კაგებეს აგენტი. მე მაინტერესებს, ჩატაევი საქართველოში, როგორც კაგებეს აგენტი, რომელმა სპეცსამსახურმა შემოუშვა? – კითხულობს დავითაია.

2012 წლის ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაკავებული ჩატაევი ციხიდან 2013 წელს გაათავისუფლეს. პაატა დავითაიას ინფორმაციით, ჩატაევის გათავისუფლებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

* * *

იმ კორპუსთან, სადაც სპეცოპერაცია ჩატარდა, დღემდე არავის უშვებენ. იქაურობას შეიარაღებული ნილბიანები იცავენ. სადარბაზოში შესვლის უფლებას არც სავარაუდო ტერორისტების მეზობლებს აძლევენ. ისინი სხვადასხვა სასტუმროში არიან გადანაწილებული.

როგორც ირკვევა, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, მე-6 შესახვევში, მე-9 კორპუსის მეორე სართულზე მდებარე ბინა კარგა ხანია, სპეცსამსახურების ყურადღების ობიექტია.

ამ ბინის ოფიციალური მეპატრონე თინა გაურგაშვილია. იგი 2000 წლიდან, მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთიდან საქართველოში ჩამოვიდა, შვილებთან ერთად ჯერ პანკისის ხეობაში ცხოვრობდა, შემდეგ კი – თელავში. ის რამდენიმე მედიასაშუალებასთან თანამშრომლობდა და პანკისში მცხოვრები ჩეჩნეთიდან ლტოლვილების შესახებ ჟურნალისტურ მასალებს ამზადებდა.

„რეგინფოს“ ინფორმაციით, 2010 წელს, საცხოვრებლად ავსტრიაში გადასვლამდე, თინა გაურგაშვილმა მის საკუთრებაში არსებული ბინა ნათესავ მერი ხანგოშვილის სახელზე გადააფორმა, რადგან ავსტრიაში მასთან ერთად მისი ვაჟი, ასლანბეგ ჯაბრაილოვი და რძალიც უნდა წასულიყვნენ, თუმცა ავსტრიაში წასვლა შვილმა და მისმა მეუღლემ ველარ შეძლეს.

მერი ხანგოშვილის თქმით, ბინის გასაღები ასლანბეგ ჯაბრაილოვს ჰქონდა და ის პატრონობდა.

2017 წლის მაისამდე აღნიშნულ ბინაში, „რეგინფოს“ ცნობით, ქირით სოფელ ბირკიანის მკვიდრი მერაბ ცათიაშვილი ცხოვრობდა. მერაბ ცათიაშვილი ისლამური სახელმწიფოს ომის მინისტრ თარხან ბათირაშვილის მამიდაშვილია. ბათირაშვილი სირიაში გასული წლის ივნისში მოკლეს.

მერაბ ცათიაშვილის ცხოვრების პერიოდში ბინა მინიმუმ 3-ჯერ გაჩხრიკეს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა. ბინა გაიჩხრიკა 2015 წლის 14 ივნისსაც. ამ დღეს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოში აიუფ ბორჩაშვილი დააკავეს.

მისი დაკავება ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით მოხდა. იმ პერიოდში პანკისიდან სირიაში ბევრი ახალგაზრდა წავიდა. პანკისში ამბობდნენ, რომ ამ ყველაფრის ორგანიზატორი იმამი აიუფ ბორჩაშვილი გახლდათ.

ბორჩაშვილის დაკავების დღეს ცათიაშვილიც დაუკავებიათ, მაგრამ ის რამდენიმე საათში გაათავისუფლეს.

თარხან ბათირაშვილის ახლობლების ინფორმაციით, 2016-2017 წლებშიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები პერიოდულად აკვირდებოდნენ, ბინაში სტუმრად ვინ მივიდოდა.

ცათიაშვილის რამდენიმე მეზობელმა „რეგინფოს“ დაუდასტურა, რომ ძალოვანი უწყებების დაბურულშუშებიანი მანქანები მათ კორპუსის ეზოში, სხვადასხვა დროს, ბოლო 3 კვირაშიც შენიშნეს.

ბინა რომ თვალთვალის ობიექტად იყო ქცეული, ამას ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მცხოვრებლებიც ადასტურებენ და არც ძალოვნები უარყოფენ, ამბობენ, რომ ბინის თვალთვალი ოპერაციამდე 3 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „არ გამოვრიცხავ, ჩატაევი რუსეთის აგენტი იყო და მათი მითითებით მოქმედებდა“

ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ვახტანგ გომელაურის პარლამენტის ნდობის ჯგუფში მისვლა და ინფორმაციის მიწოდება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.**

***– ბატონო დავით, უკვე ცნობილია, რომ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით სუსის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური მზად არის, ნდობის ჯგუფის ფარგლებში დეპუტატებს ინფორმაციას მიაწოდოს. ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს. თქვენი პოზიცია როგორია?***

– „ევროპული საქართველო“ ამ საქმის პარლამენტში ნებისმიერი ფორმატით განხილვას ითხოვდა. თუ ეს განხილვა მოხდება ნდობის ჯგუფში, ეს კარგია. ნდობის ჯგუფი შეიძლება არ იყოს ყველაზე შესაფერისი ფორმატი, უკეთესი იყო, ნებისმიერ კომიტეტზე მომხდარიყო განხილვა, მაგრამ თუნდაც ნდობის ჯგუფზე მოხდეს ამ საქმის განხილვა, ვფიქრობ, მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. იმიტომ ვამბობ, რომ ნდობის ჯგუფი შეიძლება არ არის ყველაზე შესაფერის ფორმატი, რომ ამ ფორმატის ძირითადი ფუნქცია საიდუმლო ხარჯებია.

ამ საქმის ირგვლივ უამრავი ვერსიაა, ყველას თავისი ვერსია აქვს, ამ ვერსიებსაც თავისი ლოგიკა გააჩნია. სანამ საბოლოოდ დადასტურებულა, რეალურად რა მოხდა, მანამდე ხელისუფლების მოვალეობაა, მინიმუმ საზოგადოებას დეტალური ანგარიში წარუდგინოს, რასაც არ აკეთებს ამ დღეების განმავლობაში ამ თუ იმ ფორმით. თუ აქეთკენ ერთი ნაბიჯი მაინც გადაიდგმება, ესეც კარგია.

***– ნდობის ჯგუფისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე საზოგადოებას რამდენად ექნება წვდომა?***

– შეიძლება ყველა დეტალი არ იყოს საზოგადოებისთვის ცნობილი, მაგრამ რაღაც დონეზე შეიძლება იყოს. ისე, ნდობის ჯგუფის ფუნქცია კანონით არის საიდუმლო ხარჯებზე ინფორმაციის მიღება და შემდეგ ნდობის ჯგუფი პარლამენტს აძლევს დასტურს ბიუჯეტზე, რომ პრობლემას არ შეიცავს, პარლამენტი კი, თავის მხრივ, ენდობა ნდობის ჯგუფს და ამიტომაც ჰქვია „ნდობის ჯგუფი“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სულ სხვა შინაარსთან და სულ სხვა საკითხთან გვაქვს საქმე, მაგრამ, თუ კანონით ვიხელმძღვანელებთ, ნდობის ჯგუფის წევრები თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში, რა ინფორმაციას გამოიტანენ სააშკარაოზე და რას – არა.

***– ამერიკული მხარე ჩაერთო საგამოძიებო პროცესში, იან კელი იყო პარლამენტში მისული და თქვა, რომ ამერიკა მზად არის, დაგვეხმაროს. ეს რას ნიშნავს, რომ მეგობრული ჟესტია თუ პროცესი მართლაც უფრო შორს მიმავალია და იმის ნიშანია, რომ გამოძიება სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს?***

– ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა საგამოძიებო პროცესში სწორედაც რომ არანაირ კითხვის ნიშანს არ იწვევს. ყველა წინასწარი ინფორმაციით, სპეცოპერაციის პირები, ეს ადამიანები ისლამურ ხალიფატთან იყვნენ დაკავშირებული, იმ ტერორისტულ ჯგუფთან, რომელიც სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე მოქმედებს. ბუნებრივია, ეს საერთაშორისო პრობლემაა და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი წამყვანი ძალაა, რომელიც ამ პრობლემის წინააღმდეგ მოქმედებს. თუ ამ პრობლემის კვალი თბილისში, საქართველოს შუაგულშია, მაშინ ამერიკის ჩართვა საგამოძიებო მოქმედებებში სულაც არ იწვევს კითხვის ნიშანს, მეტიც, ამან შეიძლება ბევრ რამეს მოჰფინოს ნათელი.



***– მაგალითად?***

– თუნდაც იმას, ეს ჯგუფი აქამდე თბილისში ვისი დახმარებით იმყოფებოდა.

***– გამოძიების შედეგები გარკვეულ დონეზე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება თუ საიდუმლოდ დარჩება?***

– მე ვთვლი, რომ ამ საქმის შესახებ აბსოლუტურად ყველაფერი უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ნორმალურ სახელმწიფოში, იქიდან მოყოლებული, როგორც კი ამ ინფორმაციის მიღება დაიწყო ხელისუფლებამ, საზოგადოებას შესაბამის დონეზე საქმის კურსში ჩააყენებდა, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ კვალი ხელისუფლების შიგნით, მათ წარმომადგენლებს შორის მიდის, არ ვიცი, რა დონეზე და ვინ იცოდა, თუ რა ხალხს ჰქონდა იქ ბინა დადებული. ისე არ მოხდებოდა, დიდი ალბათობით, რაღაც კავშირები მათ ჰქონდათ, მათ შორის ქართულ ძალოვან სტრუქტურებში.

***– თქვენში ეჭვს არ იწვევს, რომ, მაგალითად, ჩატაევი შემოყვანილი იყო და მას არალეგალურად არ გადმოუკვეთია საზღვარი?***

– უეჭველი იქნება, როდესაც ამის დადასტურება საგამოძიებო უწყებების მიერ მოხდება ფაქტებით, მაგრამ ქართული მხარის გამოძიების მიმართ ამ ვითარებაში დიდი ნდობა ვერ იქნება, რადგანაც, როგორც გითხარით, ამ ადამიანის გადაადგილების წახალისება ქართული მხრიდანაც შეიძლებოდა ყოფილიყო. მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ, საბოლოო ჯამში, ეს ადამიანი რუსეთის სპეცსამსახურებთან იყო შეკრული და მათი მითითებით ხდებოდა მისი გადაადგილება ჯერ საქართველოში, შემდეგ თურქეთში, შემდეგ სირიაში და ისევ უკან, საქართველოში. არ გამოვრიცხავ, მინიმუმ ორმაგი აგენტი იყო.

***– ჩატაევი?***

– დიახ, ჩატაევი. სწორედ რუსეთის სპეცსამსახურებთან ჩვენი სპეცსამსახურების მორჩილებასა და რუსული სპეცსამსახურების ქართულ სპეცსამსახურებში შეღწევაზე შეიძლება მეტყველებდეს ის, რაც მოხდა ამ ადამიანის ირგვლივ, დაწყებული მისი ციხიდან გამოშვებით და დასრულებული საქართველოში შემოსვლით.

***– დაუზუსტებელი ინფორმაციით, ორი პირია გაქცეული. რამდენად იყო სპეცოპერაცია წარმატებული?***

– ძალიან საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ სპეცოპერაცია იყო სპონტანური და მოუმზადებელი, ამას ვამბობ სპეციალისტების განცხადებებზე დაყრდნობით. ეს არის, პირველ რიგში, იმათი პასუხისმგებლობა, ვინც უშუალოდ მსგავსი ტიპის ანტიტერორისტულ სპეცოპერაციებს კურირებს ქვეყანაში. ცხადია, ძალოვანი უწყების პირველ პირებს ვგულისხმობ.

***– რა რეალობა დგება ჩვენი ქვეყნისთვის სწორედ ამ სპეცოპერაციის შემდეგ?***

– არსებული ინფორმაციები მიუთითებს, თუ რამდენად მოღიავებული, მოსუსტებულია საქართველოს უსაფრთხოება. ჩვენ ვნახეთ, რომ მოწოდების სიმაღლეზე არ დგას ქვეყნის ძალოვანი ბლოკი, პირველ რიგში ეს ეხება ხელმძღვანელობას. შესაბამისად, როდესაც უსაფრთხოების სექტორი სუსტია, როდესაც მასში, დიდი ალბათობით, რუსეთის სპეცსამსახურები არის ჩანერგილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ეროვნული უსაფრთხოება სათანადოდ არ არის დაცული.

# ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია?

## მისთვის სახელმწიფოს 4.000 ევროს გადახდა მოუწევს

შორენა მარსაგიშვილი

**ყოფილი ხელისუფლება ვანო მერაბიშვილის პოლიტპატიმრად შერაცხვას ზეიმობს. გუშინ, 28 ნოემბერს, ვანო მერაბიშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გადაწყვეტილება 9 ხმით 8-ის წინააღმდეგ მიიღო. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მერაბიშვილის მიმართ ევროკონვენციის მე-18 მუხლი დაირღვა.**

შესაბამისად, სასამართლომ ძალაში დატოვა გასული წლის 14 ივნისის განჩინება, რომლის მიხედვითაც, მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა გამოძიების მიმდინარეობის დროს უკანონო იყო.

– აღკვეთის ეს ღონისძიება გამოყენებულ იქნა არა მხოლოდ იმისთვის, რომ ის სხვადასხვა დანაშაულთან დაკავშირებით „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე პასუხისგებაში მიეცათ, არამედ პროკურატურამ პატიმრობა გამოიყენა, როგორც დამატებითი შესაძლებლობა ბერკეტის მოსაპოვებლად იმ გამოძიებებთან მიმართებით, რომლებიც სხვა საქმეებზე მიმდინარეობდა, მათ შორის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ და ზურაბ ჟვანიას საქმეზე მიმდინარე გამოძიებებთან, – ვკითხულობთ გადაწყვეტილებაში.

ვანო მერაბიშვილის ახლობლები სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას უპრეცედენტოს უწოდებენ.

ამავე აზრზეა ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი. ის დარწმუნებულია, რომ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება მერაბიშვილის გათავისუფლების საფუძველი გახდება.

– სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ მერაბიშვილი იყო ჩამოცილებული პოლიტიკური პროცესებისგან აღნიშნული დაკავების საფუძველზე. მე-18 მუხლი ნიშნავს იმას, რომ მისი დაკავების საფუძველი არ გამომდინარეობდა იმ აუცილებლობიდან და მტკიცებულებებიდან, რომლებიც პროკურატურას გააჩნდა, ანუ მოხდა მისი ჩამოცილება სხვა მიზნების გამო. დღეს ჩვენ გვყავს სტრასბურის სასამართლოს მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

ხელისუფლებას ყველა შემთხვევაში მოუწევს მისი გათავისუფლება. ეს რა ვადებში და რა პროცედურით მოხდება, ამას გააკეთებს პრეზიდენტი თუ აღმასრულებელი ხელისუფლება, ძნელია ამაზე ლაპარაკი. ფაქტი ერთია, დღეს საქართველოს ხელისუფლებას ჰყავს პოლიტიკური პატიმარი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ადვოკატმა ჩივიაშვილმა.

სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქართველოსკენ შემოაბრუნა ქვეყნის მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ახლა მთლიანად უკრაინულ ამბებშია ჩართული.

ნაპრეზიდენტალი მერაბიშვილს თავის თანამებრძოლად მოიხსენიებს და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს.



– მივესალმები სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და ჩემი თანამებრძოლის, ვანო მერაბიშვილის პატიმრობის უკანონოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით. სამართალი უნდა აღდგეს! ვანო დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს! – წერს მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებას ითხოვს მისი ერთ-ერთი ადვოკატი, დეპუტატი ოთარ კახიძე. ის ახლა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერია და „ევროპული საქართველოს“ სახელით ითხოვს, რომ ხელისუფლებამ ქვეყნის იმიჯი არ შელახოს.

– მინდა, მივმართო საქართველოს ხელისუფლებას, თუ სურთ ზიანის შემცირება, რომელიც მიადგება ჩვენი ქვეყნის იმიჯს ამ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებით, რომელიც მათ მიიღეს მერაბიშვილის დაპატიმრებით, დაუყოვნებლივ მიიღონ გადაწყვეტილება ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების თაობაზე.

დიდი პალატის გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება. ეს არის საბოლოო ინსტანცია და მე მინდა ვისურვო, რომ ეს გადაწყვეტილება იქნება გაკვეთილი ამ ხელისუფლებისთვის, რომ დასრულდეს ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური დევნა. უნდა გათავისუფლდნენ ვანო მერაბიშვილი და სხვა პოლიტიკური პატიმრებიც, რომლებთანაც ასევე იკვეთება ევროპული კონვენციის დარღვევის ნიშნები, – განაცხადა კახიძემ.

ყოფილი ხელისუფლება იმითაც არის გახარებული, რომ მეოცნებეებს ვანო მერაბიშვილისთვის 4.000 ევროს გადახდა მოუწევთ.

მოქმედი ხელისუფლება სტრასბურის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო უნდა იყოს. ამ დროს მეოცნებეები ძალიან კმაყოფილი ჩანან. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის თქმით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მერაბიშვილის დაკავება, მისი წინასწარი პატიმრობა იყო კანონიერი.

მინისტრის თქმითვე, უარყოფილ იქნა მერაბიშვილის პოზიცია, რომ ის პოლიტიკური ნიშნით იქნა დაპატიმრებული.

– 9 ხმით 8-ის წინააღმდეგ დადგინდა, რომ დაირღვა მე-18 მუხლი იმ ერთი ინციდენტიდან გამომდინარე, რომელიც ეხება 2013 წლის 14 დეკემბერს ღამით ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტს, – განაცხადა წულუკიანმა.

* * *

რამდენიმე კვირის წინ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთი ცნობა გავრცელდა. ამბობდნენ, რომ მისი ვადაზე ადრე გათავისუფლება იგეგმებოდა.

# კახა კალაძის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი შსს-ს დაცვის პოლიციის უფროსად დაინიშნა



შსს-ს დაცვის პოლიციის ახალ უფროსად გიგა ნიკოლეიშვილი დაინიშნა, რომელსაც მანამდე თბილისის მერის კახა კალაძის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ნიკოლეიშვილის მიერ თანამდებობის დატოვება თბილისის მერიაში დაადასტურეს.

ნიკოლეიშვილის დანიშვნის შესახებ უწყების ვებგვერდზე ინფორმაცია უკვე განთავსდა. ის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას 27 ნოემბრიდან შეუდგა.

კახა კალაძემ გიგა ნიკოლეიშვილი მერის მოადგილედ 13 ნოემბერს წარადგინა. ნიკოლეიშვილი მანამდე დავით ნარმანიას მოადგილეც იყო. მას ეს თანამდებობა 2016 წლიდან ეკავა.

# სანდრო ბრეგაძე: „ნინო ლომჯარია „ოცნების“ უმრავლესობას ომბუდსმენად არ უნდა“

ნონა ცაბაძე

**სახალხო დამცველად ნინო ლომჯარიას წარდგენის შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს.**

***– ბატონო სანდრო, პარლამენტში ნინო ლომჯარიას უსმენდნენ. ვიცით, რომ ის უმრავლესობის კანდიდატია სახალხო დამცველის თანამდებობაზე. საზოგადოების ნაწილს და მათ შორის თქვენც სერიოზული პროტესტი გაქვთ ამასთან დაკავშირებით. რატომ?***

– ნინო ლომჯარიას კანდიდატურის დასახელება სახალხო დამცველის პოსტზე არის ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობისთვის სულში ჩაფურთხება. ლომჯარია გახლავთ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაუძინებელი მტერი, ადამიანი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული მოღვაწეობის განმავლობაში მაქსიმალურად ებრძოდა ყოველგვარ ქართულს, ეროვნულს, მართლმადიდებლურს, რომელიც იყო ავანგარდში ბრძოლისა, რომელსაც ე.წ. სოროსელები აწარმოებენ. ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გაბედა, ვერ გაბედა სააკაშვილის ხელისუფლებამაც კი.



***– ასეთი რა ქნა?***

– ის, რომ ლომჯარიას კანდიდატურა დააყენა სახალხო დამცველის პოსტზე. ამას კომენტარი და შეფასებები აღარ სჭირდება. ამას სჭირდება ქმედებები! ვერ შეიგნეს, რომ არ შეიძლება, ჩვენი სამშობლო ხელში ჩაუგდო ისეთი ტიპის ავაზაკებს, როგორიც არის ლომჯარია. ჩვენი პროტესტი იქნება საკმაოდ ეფექტური.

***– ასეთს რას აპირებთ?***

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ლომჯარია არ შევიდეს სახალხო დამცველის ოფისში.

***– ამაში როგორ შეუშლით ხელს უმრავლესობის მიერ არჩეულ სახალხო დამცველს?***

– ჩვენ გპირდებით, რომ იქნება მანიფესტაციები, მიტინგები! თუკი „ქართული ოცნება“ იმდენად გათავხედდება, რომ ქართული ეკლესიის მაგინებელ ლომჯარიას მაინც უყრის კენჭს და დანიშნავს სახალხო დამცველის თანამდებობაზე, მაშინ ჩვენ გავაკეთებთ სახალხო დამცველის შენობის პიკეტირებას და არ შევუშვებთ ლომჯარიას სახალხო დამცველის ოფისის შენობაში!

მოდით, ახლა გავხსნათ ფრჩხილები: „ქართული ოცნების“ დეპუტაციის უმრავლესობა ლომჯარიას წინააღმდეგია.

***– სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. ამბობენ, რომ გუნდში არის დაპირისპირება, რომ ლომჯარია „ოცნების“ დიდი ნაწილისთვის მიუღებელია. მაშინ ვინ არის ის მცირე ნაწილი, რომელიც ახერხებს და მისი კანდიდატურა გაჰყავს?***

– არის ასეთი ავაზაკი, ადეიშვილის ყოფილი მოადგილე, პატიმრების მწამებელი, ვანო ზარდიაშვილი. ის არის მამუკა მდინარაძის სიძე და სწორედ ეს ავაზაკები, თამარ ჩუგოშვილთან ერთად, რომლებსაც ყურებით ჰყავთ დაჭერილი პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, არიან ლომჯარიას კანდიდატურის ლობისტები.

ეს ადამიანები არიან ჩვეულებრივი ნაციონალური მოძრაობის წევრები, რომლებმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნეს ქართული პატრიოტული, ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლას. დასკვნები მკითხველმა თავად გააკეთოს.

***– ეს სამეული მართავს პროცესებს პარლამენტში?***

– სწორედ ასეა. დანარჩენ დეპუტატებს არაფერს ეკითხებიან. დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ უმრავლესობის უმრავლესობას არ უნდოდა ლომჯარია, თუმცა ამას ღიად ვერცერთი ვერ აცხადებს. იმდენად ჰყავს ზარდიაშვილს დაშინებული „ქართული ოცნების“ დეპუტაცია, რომ მას ზედმეტ სიტყვასაც კი ვერ უბედავენ. დღეს ზარდიაშვილია პარლამენტის ფაქტობრივი თავმჯდომარე.

***– როგორ ახერხებს ამას ვანო ზარდიაშვილი?***

– რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მას აქვს კომპრომატები „ოცნების“ დეპუტატებზე, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ის ადეიშვილის მოადგილე იყო.

# „ბათუმის „ლეოგრანდში“ სახანძრო საყვირიც კი არ ჩაირთო“

გულიკო ბალაძე

**– სააკაშვილის დროიდან კანონმდებლობა შეიცვალა და მშენებლობისთვის ნებართვის აღების კრიტერიუმები გამარტივდა. მშენებლობის ბუმი ხელოვნურად იყო შექმნილი. მშენებლობის ნებართვას რამდენიმე კრიტერიუმი ჩამოაშორეს, – აცხადებს უფლებადამცველი და ადვოკატი მამუკა ტუსკაძე „ახალ თაობასთან“.**

ის ქვეყანაში სახანძრო უსაფრთხოების დაცვისთვის კონკრეტული ორგანული კანონის არარსებობაზე საუბრობს, რომლის საფუძველზეც მშენებლობების დროს გათვალისწინებული იქნება კანონის მოთხოვნები.

– არსებობს ერთ ფარატინა დოკუმენტი „ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ დებულება“, სადაც, უბრალოდ, მითითებულია, რომ დაცული უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, მაგრამ, რას ნიშნავს სახანძრო ნორმები (არც ტერმინოლოგია), არ არის განმარტებული, – აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

***– ბატონო მამუკა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელი წელია, ვიღაც დადის და ცეცხლს უკიდებს გარკვეულ ობიექტებს, ბაზრობებს, უნივერმაღებს, ტყეებს, სასტუმროებს. ამ ყველაფრის დაგვირგვინება ბათუმში დატრიალებული ტრაგედიაა.***

– რეალურად, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფასთან გვაქვს საქმე. საკანონმდებლო ხარვეზია. არ არსებობს სახანძრო უსაფრთხოებაზე კონკრეტული ორგანული კანონი, თუ როგორ უნდა იყოს დაცული სახანძრო უსაფრთხოება და კანონის მოთხოვნები მშენებლობების დროს.

***– აბა, ეს საკითხი რით რეგულირდება?***

– მხოლოდ ერთი ფარატინა დოკუმენტია – ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ დებულება, სადაც მითითებულია, რომ დაცული უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, მაგრამ, რას ნიშნავს სახანძრო ნორმები, არც ტერმინოლოგიაა განმარტებული და, საერთოდაც, ეს არაფერია. ამიტომ ჩვენ (უფლებადამცველთა სახლი და მე) ვმუშაობთ სახანძრო უსაფრთხოების წესების შემუშავებაზე, რომელსაც ერქმევა სახანძრო უსაფრთხოების წესები.

ერთიან ორგანულ კანონში თავმოყრილი იქნება ყველა მოთხოვნა, თუ როგორ უნდა იყოს გათვალისწინებული სახანძრო უსაფრთხოების ნორმები მშენებლობის ან მისი ექსპლუატაციაში გაშვების დროს.

***– კანონში რა უნდა ეწეროს და არ წერია?***

– კანონში უნდა ეწეროს, როგორი უნდა იყოს ჯარიმები მისი დარღვევის შემთხვევაში. სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის დროს ჯარიმა 100 კი არა, 10 ათასობით ლარი უნდა იყოს. ვინაიდან დღეს მოქმედი კანონმდებლობით პასუხისმგებლობის ნორმა ძალიან დაბალია, ამიტომ კონკრეტული ობიექტების მფლობელები არ სწევენ ხარჯებს, რაც სჭირდება სახანძრო უსაფრთხოებას. კანონმდებლობა




**მამუკა ტუსკაძე: „სახანძრო უსაფრთხოებაზე კანონი არ არსებობს“**

ამას არ გავალებს. კომუნისტების დროსაც კი აუცილებელი იყო შენობაში სახანძრო კუთხის მოწყობა, ევაკუაციის გეგმა, სახანძრო კიბე და ა.შ. დღეს ეს მოთხოვნები აღარ არის.

***– დარღვევის შემთხვევაში 100 ლარია ჯარიმა?***

– სახანძრო უსაფრთხოების დარღვევისთვის მფლობელი ჯარიმდება 100 ლარით, ისიც, თუ საჩივარი იქნება.

***– ექსპლუატაციაში მიღებაში ხელს არ უშლის, თუ სახანძრო უსაფრთხოების დაცვის საშუალებები არ იქნება წესრიგში?***

– კანონმდებლობით – არა.

***– სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში, მფლობელს სასამართლოში რომ უჩივლონ?***

– ვერაფერს უზამენ. მსხვერპლის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

***– ბათუმში, სასტუმრო „ლეოგრანდში“, ტრაგედია რომ დატრიალდა?***

– ბათუმში ტრაგედია რომ დატრიალდა, მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაისმება.

***– ითქვა, რომ „ლეოგრანდის“ მფლობელი სწორედ უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო იყო დაჯარიმებული.***

– 100 ლარით.

***– ტურისტული სააგენტოც არ აძლევდა რეკომენდაციას. შედეგი სავალალო მივიღეთ.***

– „ლეოგრანდი“ დაჯარიმებული იყო რამდენიმე ასეული ლარით. გადაიხადეს რამდენიმე ასეული ლარი და მხიარულად გააგრძელეს მუშაობა. ამ ყველაფრის თავიდათავი საკანონმდებლო ბაზის არარსებობაა. ქონების მესაკუთრეს ეძლევა მითითება, რომ დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, მაგრამ კანონი არ არსებობს.

***– სახანძრო უსაფრთხოების შესახებ კანონის ნორმები სააკაშვილის დროს გაუქმდა, ინვესტორებისთვის ბიზნესის კეთება რომ გაემარტივებინათ? „ლეოგრანდის“ მშენებლობისთვის 40 მილიონი დახარჯა ადამიანმა და სახანძრო უსაფრთხოებისთვის არაფერი გაუკეთებია.***

– სააკაშვილის დროს გამარტივდა და მშენებლობის ბუმი ხელოვნურად იყო შექმნილი. მშენებლობის ნებართვას უამრავი კრიტერიუმი ჩამოაშორეს. მაგალითად, იგივე ინსოლაცია, რაც მზის დასხივების კუთხეს ნიშნავს. სამშენებლო ნორმებში აღარ არის ფანჯრის პრინციპის დაცვა. სამშენებლო ნორმების დროს სულაც არ არის სავალდებულო სახანძრო ნორმების შესრულება. თითქოსდა ამით მშენებლობა გამარტივდა. ასევე არქიტექტურული ნებართვის აღების დროს არ სჭირდება შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ნაწილის წარდგენა. ისე იძლევიან მშენებლობის ნებართვებს, საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას არ ითხოვენ. ამის საჭიროება არ არსებობს. პასუხისმგებლობა მშენებელზე გადადის. თუ მშენებელი უპასუხისმგებლო აღმოჩნდება, ტრაგედია დატრიალდება. თბილისში ბოლო დროს აშენებული შენობები შეიძლება 5-ბალიან მიწისძვრაზე დაინგრეს.

***– ამის საშიშროება არსებობს?***

– დიახ. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ 5-ბალიან მიწისძვრას თუ გადასცდა, თბილისის ახალი მშენებლობები შეიძლება დაინგრეს. სახანძრო ნორმები ერთია, მეორეა სამშენებლო ნორმები. სამშენებლო კოდექსი არ არსებობს. არსებობს 54 დადგენილება, რომელიც მხოლოდ იმას არეგულირებს, კარები და ფანჯრები სად უნდა იყოს.

***– თქვენ ბრძანეთ, პასუხისმგებლობა მშენებელზეა გადატანილიო. პასუხისმგებლობა რით გამოიხატება?***

– თუ სასტუმროს ვაკეთებ და ვაკეთებ რეკლამას, ვამბობ, რა პირობებს ვთავაზობ კლიენტს. ამასთან, უნდა ვთქვა, რომ სახანძრო უსაფრთხოება დაცული იქნება, ჩემთან 100%-ით ხანძრისაგან იქნებით დაცული-მეთქი. მაგალითად, ბათუმში სახანძრო საყვირიც კი არ ჩაირთო.

***– როცა ტრაგედია უკვე მოხდა, მეპატრონეს რა პასუხისმგებლობა დაეკისრება?***

– ბათუმში 11 ადამიანია დაღუპული და სისხლის სამართლის კოდექსით 1-დან 3 წლამდე ციხეს მიუსჯიან. სხვათა შორის, რაიონულ სტრუქტურებში ჰყავთ სამოქალაქო და სახანძრო უსაფრთხოების ჯგუფები სამ-სამი კაცის შემადგენლობით.

***– რა ევალებათ?***

– ხანძრის დროს უნდა გავიდნენ და ხანძარი ჩააქრონ.

***– რაიონულ გამგეობებთან არსებული ჯგუფები როგორ აქრობენ ცეცხლს?***

– მეხანძრეები და სახანძრო მანქანებიც ჰყავთ.

***– ეგ ცენტრალიზებული არ არის?***

– ცენტრალიზებულია, მაგრამ ცალკე მეხანძრეებიც ჰყავთ და ჯგუფებიც თავიანთი ხელმძღვანელი პირებით. სახანძროში უყენიათ მანქანები. ზოგადად, არ იცვლება პოლიტიკა სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით. კანონმდებლობა არ არსებობს, რომ ამ კუთხით პრობლემები მოიხსნას.

კანონმდებელი პასუხისმგებლობას უნდა აკისრებდეს მშენებელს, ინჟინერს, ტურისტს, რომელიც სიგარეტის ნამწვს გადააგდებს ტყეში და მთელ ტყეებს გადაწვავს. ტურისტის პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს. როცა ქვეყანაში ტურისტი შემოგყავს და მას მოსაკრებელს ახდევინებ, უსაფრთხოების მოსაკრებელიც უნდა გადაიხადოს.

***– ინვესტორების პასუხისმგებლობა არის თუ ქონების მეპატრონის?***

– ქონების მეპატრონის პასუხისმგებლობაა. შეიძლება ეს პასუხისმგებლობა გადავიდეს ქონების მოიჯარეზე. თუ ქონების მეპატრონე მე ვარ და შენ მოგაქირავე, პასუხისმგებლობა შენზე გადმოდის. კონკრეტულ პერიოდში შენ ამუშავებ და ყველაფერზე შენ ხარ პასუხისმგებელი. მე შეიძლება უძრავი ქონება იჯარით ავიღო და ჩემი ფულით უზრუნველვყო სახანძრო უსაფრთხოება.

***– ამდენი ქონება რომ დაიწვა, ქვეყანაში სხვადასხვა ადგილზე ხანძარი რომ გაჩნდა, სახელმწიფო და ადამიანები რომ დაზარალდნენ, გამოძიების თვალსაზრისით რა მდგომარეობაა?***

– უმძიმესი მდგომარეობაა. აქაც, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, გამოძიებას უჭირს დანაშაულზე გასვლა და მხოლოდ სხვისი ქონების დაზიანების მუხლით იძიებენ.

***– იმ ვერსიას არ განიხილავენ, რომ შეიძლება ცეცხლს ვინმე შეგნებულად აჩაღებდეს?***

– განიხილავენ. შეიძლება ვინმე შეგნებულადაც აკეთებდეს, მაგრამ ძირითადად ეს ხდება საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო. კანონმდებლობით პასუხისმგებლობა არ არის განსაზღვრული. საკანონმდებლო ბაზა რომ ყოფილიყო, ვინმე კანონის აღსრულებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. აღარ მისცემდნენ ტურისტს ვიზას, თუ მას მოსაკრებელი არ ექნებოდა გადახდილი. თუ ტურისტს მოსაკრებელი ექნება გადახდილი, ემახსოვრება, რომ ხანძარი არ უნდა გააჩინოს, რადგან ამის გამო შეიძლება დააკავონ.

ასევე კანონი უნდა არსებობდეს, როცა პირი მშენებლობის ნებართვას მიიღებს, ვთქვათ, სასტუმროს ასაშენებლად, ვალდებული იყოს, სახანძრო უსაფრთხოების ყველა ნორმა დაიცვას. უნდა მოაწყოს სახანძრო კუთხე, სემინარები და ტრენინგები უნდა ტარდებოდეს.

სახანძრო უსაფრთხოებაზე ხალხი სამოქალაქო განათლებას უნდა იღებდეს და, როცა ცეცხლს აქრობს, ნავთი არ უნდა მიასხას. უნდა იცოდეს, იმ დროს რა უნდა გააკეთოს. ბორჯომის ხეობის მოსახლეობა ორგანიზებული იყო, მაგრამ ერთმა ადამიანმაც არ იცოდა, რა უნდა ექნა. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ცეცხლის ჩაქრობა არ არის მხოლოდ ვედროთი წყალი. ხანძართან ბრძოლა მთელი ინფრასტრუქტურა და მთელი მეცნიერება.

მარიამ მჭედლიშვილი

# ლევან ჩაჩუა: „ლომჯარია ანტისახალხო დამცველი იქნება“

## „საზოგადოებამ ხელისუფლების ცრუ დაპირებებზე სერიოზული რეაგირება უნდა მოახდინოს“

**სახალხო დამცველის კანდიდატურებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის" ლიდერ ლევან ჩაჩუას.**

***– იმ მიმართვაზე, რომელიც პარლამენტს უნდა გადაეცეს ომბუდსმენის კანდიდატურასთან დაკავშირებით, თქვენი ხელმოწერაცაა. მხარს უჭერთ დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურას. რატომ ფიქრობთ, რომ პარლამენტის წევრები თქვენს მოწოდებას გაიზიარებენ?***

– არც მაქვს იმის ილუზია, რომ ეს პარლამენტი საზოგადოების დიდი ნაწილის პოზიციას გაიზიარებს. ამ პარლამენტში ბევრია ისეთი, რომელიც წინა მოწვევის დეპუტატი იყო. მათგან ბევრს არ უნდოდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, მაგრამ შეასრულეს დავალება და ხმა მისცეს ამ კანონს. ლომჯარია უმრავლესობაში ბევრს არ უნდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

***– პარლამენტს მაინც მიმართავთ.***

– ხმის ამოუღებლობაც არ შეიძლება. შეგონებით მივმართავთ საკანონმდებლო ორგანოს. პარლამენტს ხალხი ირჩევს და მან საზოგადოებას უნდა მოუსმინოს და დადგეს პოლიტიკური კონიუნქტურის მაღლა. სრული კარტბლანში არ უნდა მივცეთ ანტისახალხო დამცველებსა და მათ პატრონებს.

***– ანტისახალხო დამცველები ვინ არიან?***

– უჩა ნანუაშვილი, რომელსაც ვადა ეწურება და ნინო ლომჯარია, რომლის ომბუდსმენობა ხალხის გარეშე გადაწყდა. მსჯავრდებულს რომ ჩამოხრჩობას დახვრეტით შეუცვლი, ისე გამოიყურება ნანუაშვილის ლომჯარიათი ჩანაცვლება.

***– ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?***

– ერთ-ერთი სახელმწიფოს ელჩმა შუშის სასახლის თანხმობით. გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ამგვარად მიიღება. ასე იყო პრეზიდენტის შემთხვევაშიც.

***– გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა ასე შეირჩა?***

– რასაკვირველია. ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილი მაშინ ხალხს ემუქრებოდა, თუ ამ კაცს პრეზიდენტად არ აირჩევთ, პროექტებს შევაჩერებ და წავალო. მაშინ მარგველაშვილს მისმა მოწინააღმდეგეებმაც დაუჭირეს მხარი. მოგვიანებით ძალიან ინანეს, მაგრამ გვიან იყო.

***– „ქართული მარში“ ნანუაშვილის საქმიანობის გაპროტესტებას მის ოფისთან აპირებს. ეს აქცია, გარკვეულად, ლომჯარიას საწინააღმდეგოცაა.***

– ეს პოზიცია ჩემთვის გასაგებია, მაგრამ, უმჯობესია, ხალხმა აქციები შემსრულებლების კი არა, შემკვეთების ოფისებთან გამართოს, კერძოდ, ივანიშვილის შუშის სასახლესთან და მთავრობის ადმინისტრაციასთან. უნდა მოვითხოვოთ ხალხის დამცველები და არა ანტისახალხო დამცველები, რომლებიც ერთი პატარა ჯგუფის ინტერესებს ატარებენ. ასეთები ხალხის წინააღმდეგ გამოდიან და რატომღაც მისი დამცველები ჰქვიათ. სახალხო დამცველი საზოგადოებამ უნდა მოიწონოს.

***– სახალხო დამცველის არჩევის წესის შეცვლასაც მხარს უჭერთ? ასეთი ინიციატივაც გაჩნდა.***

– ინიციატივა მოსაწონია, მაგრამ მას არავინ გაითვალისწინებს. „ქართული ოცნება“ ომბუდსმენის არჩევის წესს არ შეცვლის. რაიმეს მიღწევას ძლიერი და აქტიური საზოგადოება ესაჭიროება. ახლა ხალხს ანგარიშს არ უწევენ. მმართველი პარტია აკეთებს იმას, რაც უნდა.




სწორედ ამიტომ დაგვასვა თავზე მთავარ ოპოზიციად წოდებული კრიმინალური ბანდა – ნაციონალური მოძრაობა თავისი განშტოებებით.

ჩვენ ღირსეული, მაგრამ დაქსაქსული საზოგადოება გვყავს. ხალხი ილიას ტრიადის მიმდევარია. ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქსაც აქვს ნათქვამი, რომ მთავარია ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. ჩვენი საზოგადოება იმითაც არის გამორჩეული, რომ ღირსებისა და სულიერების გამო გამოდის ქუჩაში და არა – უფასო სასადილოების მოთხოვნით.

***– იქნებ ჯობდა, საზოგადოებას ხანდახან ზოგიერთი სოციალური მოთხოვნაც წამოეწია?***



***შიმშილით განწყვეტა და ქვეყნიდან ლუკმაპურის საშოვნელად გადინებაც რისკია ეროვნული უსაფრთხოებისთვის.***

– რა თქმა უნდა. სიღატაკე სერიოზული პრობლემაა. მშიერ ადამიანს მაღალი ღირებულებებისთვის რესურსი არ ჰყოფნის. ხალხის ამ მდგომარეობაში ჩაგდება მიზანმიმართულად ხდება. საზოგადოებამ ხელისუფლების ცრუ დაპირებებზეც სერიოზული რეაგირება უნდა მოახდინოს. ხან განახევრებულ ტარიფებს შეჰპირდნენ ხალხს, ხან – პროდუქციის გაიაფებას. ყველაფერი პირიქით ხდება და ხალხის მძიმე ყოფა უფრო უარესდება. საზოგადოება ძლიერი და კონსოლიდირებული რომ იყოს, ამდენს ვერ გაბედავდნენ. უცნაურია, რომ მოსახლეობის 90% ეკლესიის მხარდამჭერია, მაგრამ ეს ერთიანობა თითქმის არაფერში ვლინდება. გაერთიანებულ საზოგადოებას ხელისუფლება ანგარიშს გაუწევს.

# რატომ ნადგურდება კივის მოსავალი დასავლეთ საქართველოში



უკვე მეორე წელია, დასავლეთ საქართველოში კივის მოსავალი არ აუღიათ.

როგორც წესი, ნოემბრის მეორე ნახევრიდან ფერმერები კივის კრეფას იწყებენ, თუმცა წელს ისინი დაგეგმილი მოსავლის 15-20 პროცენტსაც ვერ მიიღებენ. ზოგი ამას გაზაფხულის ყინვებს აბრალებს, ზოგი – გვალვას, ზოგიც – ფაროსანას, თუმცა ფაქტია, რომ ისინი წელსაც კივის მოსავლის გარეშე რჩებიან.

აგრონომი მერაბ ფიფია ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის მეურნეობაში მენეჯერად მუშაობდა. მისი თქმით, ამ მცენარემ ფერმერების იმედი ვერ გაამართლა.

– ზედა ეწერში კივის პლანტაცია 10 ჰექტარზეა გაშენებული. მიუხედავად იმისა, რომ პლანტაციის მფლობელები ყველანაირად ცდილობენ, მოსავალი აიღონ, უკვე ორი წელია, ამას ვერ ახერხებენ. შარშანწინ 10 ჰექტარზე 25 ტონამდე კივი ავიღეთ, შარშან მოსავალი საერთოდ არ იყო, იგივე მდგომარეობაა წელსაც. ფაქტია, რომ ამ მცენარემ ჩვენთან ვერ გაიხარა. მისი მოვლა ძალზე შრომატევადი საქმეა, მით უმეტეს, რომ ჩვენი კლიმატი კივის ნარგავების ნორმალურ განვითარებას ხელს არ უწყობს.

ნაყოფს გაზაფხულის ყინვები ძალიან აზიანებს. გლეხებს იმის საშუალება არა აქვთ, რომ მცენარე კლიმატის ცვლილებებისგან დაიცვან, გარდა ყინვისა, კივის პლანტაციაზე ქარიც ცუდად მოქმედებს – ის კივის მოსავლიანობას ხელს უშლის. ამიტომ, ქარსაწინააღმდეგო ბადეებიც უნდა მოვაწყოთ, რომ ნორმალური მოსავალი მივიღოთ. ამ ყველაფერს კი სერიოზული ფინანსები სჭირდება, – ამბობს მერაბ ფიფია.

აგრონომის აზრით, შეცდომა იქნა დაშვებული პლანტაციების გაშენებამდეც, შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა.

– ჩვენთან მაგალითად, ეწერი ნიადაგებია, ნიადაგში წყალი გროვდება და ფესვების ლპობას იწვევს. ზედა ეწერის მეურნეობაში 6.500 ძირი კივია გაშენებული და აქედან 600-700 ძირი უკვე გახმა. ყველა მცენარეს მისთვის შესაფერისი ნიადაგის შერჩევა უნდა, ყველაფერი წინასწარ უნდა გამოვიკვლიოთ და ნებისმიერი კულტურა მხოლოდ ამის შემდეგ გავახაროთ. თავის დროზე ჩვენს რაიონში ნიადაგიც კი არ შეისწავლეს და კივის ნარგავები სტიქიურად გააშენეს, შედეგიც შესაბამისი მივიღეთ.

კივის მოვლა ისედაც საკმაოდ რთული საქმეა: სასუქი, სარწყავი სისტემის მოწყობა, მუშახელის ხელფასი, სხვა ხარჯები – ფერმერებს ეს ყველაფერი ძალიან ძვირი უჯდებათ და ბევრმა უკვე ხელი ჩაიქნია მცენარის მოვლა-პატრონობაზე. ამიტომ, ძირითადად ოჯახებში აქვთ დარგული რამდენიმე ძირი და რამდენსაც მოისხამს, იმის კმაყოფილნი არიან.

კივის ბიზნესის წამოწყება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რასაც ყველა ერიდება. ზუგდიდის რაიონის ბევრ სოფელში კივის ნარგავებმა არ გაამართლა. ფერმერების უმეტესობა ფიქრობს, რომ ამ კულტურის გაშენება და მოყვანა აღარც ღირს, – აღნიშნავს აგრონომი.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიას მკვიდრი დემურ ფიფიაც ამბობს, რომ მას სულ 120 ძირი კივი აქვს დარგული თავის მამულში და მეორე წელია, ნორმალური მოსავალი არ აუღია.

– კივის მოსავლის განადგურებას გაზაფხულის წაყინვას ვაბრალებთ, მერე ამას დაერთო გვალვიანი ამინდები, მერე – ფაროსანა და კივის ნერგები გახმა, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ფერმერმა.

მოსაზრებას, რომ კივის მოყვანა ჩვენს ქვეყანაში არარენტაბელურია, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარი სპეციალისტი აგრარულ საკითხებში, სწავლული აგრონომი აკაკი ღლონტი.

– კივი აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, ჩვენ ვერ გამოვიყენეთ მისი შესაძლებლობები. ამ მცენარემ წელს არაჩვეულებრივი ყვავილი გამოიტანა, მაგრამ ხელი ვერ შევუწყვეთ. მარტო ბუნების და ღმერთის იმედზე კი არ უნდა დავრჩეთ, ნორმალური მოსავლის მისაღებად, რაც მსოფლიოში ტექნოლოგიებია, ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ. ეს სუბტროპიკული მცენარეა და ჩვენი კლიმატი საუკეთესოა მის გასახარებლად.

რით ჩამორჩება ქართული კივი იმპორტირებულს? – გემრიელი არ არის, იოდის შემცველობა აქვს დაბალი თუ არომატი არ უვარგა? მთავარია, კივის პლანტაცია გაზაფხულის წაყინვისგან დავიცვათ. გაზაფხულზე, როცა მცენარე ყვავილობას იწყებს, 0 გრადუსიც კი საკმარისია მის მოსაყინავად. ზოგი კივის მოსავლის განადგურებას აზიურ ფაროსანასაც აბრალებს, მაგრამ, მოდით, ყველაფერს ამ მწერს ნუ დავაბრალებთ – ფაროსანა არაფერ შუაშია.

კივის პლანტაციის დასაცავად არსებობს წყლისმიერი და ქარისმიერი საშუალებები, რომელთაც ყველგან იყენებენ, სადაც კივის პლანტაციები აქვთ – საფრანგეთში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებშიც. ფაქტია, რომ იქ ფერმერები შესანიშნავად იცავენ კივის პლანტაციებს გაზაფხულის წაყინვისგან და მოსავალიც კარგი აქვთ, – აღნიშნავს აკაკი ღლონტი.

მისი თქმით, 1 ჰექტარზე საშუალოდ 25-დან 35 ტონამდე კივი მოდის. ამიტომ, ეს მცენარე ნებისმიერი ფერმერისთვის შეიძლება გახდეს ძალიან კარგი შემოსავლის წყარო.

– 1 კგ კივის ფასი 2 ლარიც რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ კივი 1 ჰექტარზე სულ ცოტა, 50-70 ათასი ლარის შემოსავალს იძლევა. ოპონენტებს ვეკითხები – როგორ არის ასეთი მცენარე არარენტაბელური? რატომ უნდა შემოგვქონდეს უცხოეთიდან კივის ნაყოფი, რომელიც ძალიან კარგად ხარობს გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, ლაგოდეხის რაიონში, იმერეთში და აფხაზეთში?

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეასრულოს და კივი აუცილებლად უნდა ჩართოს თავის პროექტებში. გლეხებს უნდა ჩაუტარონ სპეციალური ტრენინგები, ასწავლონ კივის მოყვანა და მსოფლიო გამოცდილება გააცნონ – ეს ყველაფერი სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეროგატივააა. თავის მხრივ, მეც მზად ვარ, ნებისმიერ სპეციალისტს შევხვდე და დავამტკიცო, რომ ეს მცენარე ჩვენს პირობებში საკმაოდ მომგებიანი და რენტაბელურია.

ამაზე უკეთესი კულტურა მე არ მეგულება, ოღონდ თუ გაზაფხულის ყინვებისგან დავიცავთ, რაც უახლესი ტექნოლოგიების დახმარებით შეიძლება. სხვათა შორის, საქართველოშიც არის შემოტანილი ეს აპარატურა. მე თვითონ, მისი დამონტაჟება 3 ათასი ლარი დამიფასეს, ეს საქმე რამდენიმე თვით გადავდე და საბოლოოდ 10 ათასი ლარი წავაგე. წელს მეც კივის მოსავლის გარეშე დავრჩი, მაგრამ ეს არც ფაროსანას ბრალია და არც ყინვისა – ეს, პირველ რიგში, ჩემი ბრალია, – აცხადებს აკაკი ღლონტი.

**კვებით უზრუნველყოფის მომსახურების პროვაიდერთა მოწვევა**

BP Exploration (Caspian Sea) Ltd - საქართველო იწვევს შესაფერის კომპანიებს ინტერესის გამოსახატად BP-ის თბილისის ოფისის კვებით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევაში. ქვემოთ მოცემულია ფასების შეთავაზების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა:

- კვებით უზრუნველყოფა – ცხელი ლანჩი (200-250 პორცია დღეში) და შეფუთული ლანჩი (10-15 პორცია დღეში, სადამოობით)
- წყლის მოწოდების უზრუნველყოფა
- მესამე მხარეებისგან შესყიდვა, მაგ. დანა-ჩანგლის, თეფშების და სამზარეულო ტექნიკისა, ოფისის სასადილოსთვის
- სასმელის პუნქტებით უზრუნველყოფა დაახლოებით 250 თანამშრომელზე, ჩაის ჩამომსხმელი ქალბატონების მიერ მომსახურების გაწევის ჩათვლით
- BP-ის ოფისისთვის საკვები უნდა მომზადდეს ფასის წარმდგენის შენობაში და მოხდეს ტრანსპორტირება იზოლირებული სატრანსპორტო საშუალებით, ჰიგიენის წესების და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოგვაწოდონ საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი და საკონტაქტო პირის სახელი და გვარი შემდეგ ელ-ფოსტაზე: lomam0@bp.com ან კომპანიის ოფისში მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის 24, მაკა ლომაძეს, PSCM კატეგორიის სპეციალისტს.

წარდგენის ვადა: 2017 წლის 1 დეკემბერი.

# ნიკა შენგელია: „საქართველოში საშუალო ფენა ვერ შეიქმნება“

„ეროვნული ბანკის“ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2017 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა, ჯამში, 19.6 მილიარდი ლარს შეადგენს. აქედან, როგორც ეროვნული ბანკის ვიცეპრეზიდენტი მურთაზ კიკორია აცხადებს, 10 მილიარდი ლარი ფიზიკური პირების სესხებზე მოდის. მურთაზ კიკორია აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ არ მოხდეს მოსახლეობის ჭარბვალიანობის ზრდა.



„კომერსანტი“ დაინტერესდა, სამომხმარებლო და ბიზნესსესხების გაცემის სტრუქტურაში რამდენად ნორმალურია თანაფარდობა და როგორია საერთაშორისო გამოცდილება?

ანალიტიკოსი ნიკა შენგელია განმარტავს, რომ ზოგადად, საქართველო მოსახლეობის რაოდენობის და სესხების გაცემის მოცულობის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. მისი განცხადებით, დღეს ბიზნესსესხებზე გაცემული კრედიტები ძალიან მცირეა. შედეგად, კომერციული ბანკების მოგების უდიდესი ნაწილი სხვა შემოსავლებზე მოდის.

– საუბარია ოპერაციებზე კრედიტებიდან, გარანტიებიდან. უდიდესი წილი კი ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან შემოსულ შემოსავლებზე მოდის. ყველაზე მცირე წილი ბიზნესზე გაცემული სესხებია, – აცხადებს შენგელია.

კომერციულ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არაპროფილურ საქმიანობას ეწევიან და აფილირებული კომპანიები გააჩნიათ. შედეგად, მცირე ბიზნესის განვითარებას ხელს არ უწყობენ.

– მსხვილ ტენდერებში მონაწილე კომპანიები ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსების ქვეშ არიან. მცირე და საშუალო ბიზნესს არავითარი საშუალება არ ეძლევა, მიიღოს ტენდერებში მონაწილეობა, დადოს საგარანტიო წერილები და მიიღოს საავანსო ჩარიცხვები. ხალხს კი იმდენი კაპიტალი არ აქვს, რომ ბანკებში ჩადოს და ტენდერული სამუშაოები აწარმოოს. ბანკები ამას ხელს არ უწყობენ. დაინტერესდნენ, შევიდნენ დიდ კომპანიებში და ნახონ, ვინ დგას მათ უკან და რა ფინანსები, – აცხადებს შენგელია.

ისეთ პირობებში, როდესაც საფინანსო სექტორის 95 პროცენტი ბანკებს უჭირავს, ქართული ეკონომიკა ვერ განვითარდება.

კითხვაზე, როგორია ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილება და რა თანაფარდობა არსებობს ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებსა და ბიზნესსესხებს შორის, შენგელია განმარტავს, რომ ევროპის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ბანკების მოგების უდიდესი ნაწილი ბიზნესსესხებსა და საბროკერო კომპანიების მხრიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

– ჩვენთან კომერციული ბანკები სამომხმარებლო სესხებს უპრობლემოდ გასცემენ, ბიზნესის საკეთებლად კი სესხებს არ იძლევიან. ამიტომ, საქართველო ვერასდროს ვერ განვითარდება. ჩვენთან ვერ შეიქმნება საშუალო ფენა, რომელიც ყველა ქვეყნის განვითარების ხერხემალია, – აცხადებს ნიკა შენგელია.

საქართველოს მოსახლეობის 66,9%-ს საფინანსო სექტორის ვალი აქვს

საქართველოს მოსახლეობის 66,9%-ს საფინანსო სექტორის ვალი აქვს. ამაზე მიუთითებს „კრედიტ-ინფოში“ არსებული ჩანაწერების რაოდენობა. ამ დროისთვის „კრედიტ-ინფოს“ ბაზაში ჩანაწერი სულ 2.490.000 ფიზიკურ პირსა და 69.000-მდე იურიდიულ პირზე არსებობს.

საქართველოში მოსახლეობა სულ უფრო მეტად ხდება სესხებზე დამოკიდებული. თუ ცივილურ ქვეყნებში კრედიტი კეთილდღეობის ასამაღლებლად გამოიყენება, ჩვენთან ხშირად სესხს მოსახლეობა ყოველთვიური ხარჯების გასასტუმრებლად იღებს.

„კრედიტ-ინფოს“ აღმასრულებელი დირექტორის, სანდრო გომიაშვილის ინფორმაციით, მათ ბაზაში საკრედიტო ჩანაწერების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

2016 წლის იანვრისთვის ბაზაში 12.500.000 ჩანაწერი იყო, დღეს კი ამ მაჩვენებელმა 20.000.000-მდე მოიმატა. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ წელსა და 11 თვის განმავლობაში საფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების რაოდენობა 7,5 მილიონი ერთეულით გაიზარდა.

– მართალია, 20 მილიონში ზოგი სესხი უკვე დაფარულია, თუმცა ფაქტია, რომ ზრდა დიდია, – განუცხადა „კომერსანტს“ გომიაშვილმა.

ამ ეტაპზე „კრედიტ-ინფოს“ ბაზაში ჩანაწერი სულ 2.490.000 ფიზიკურ პირსა და 69.000 იურიდიულ პირზე არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის საკრედიტო ვალდებულება სწორედ ამდენ ადამიანს გააჩნია.

ბოლო აღწერით, საქართველოში სულ 3.718.200 ადამიანი ცხოვრობს, შესაბამისად, გამოდის, რომ სესხით მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 66,9% სარგებლობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 20 წლამდე ასაკის ადამიანებზე სესხს, პრაქტიკულად, არც ერთი საფინანსო სტრუქტურა არ გასცემს, 70 წლის ზემოთ მყოფები კი კრედიტს აღარ იღებენ, გამოვა, რომ აქტიური მოსახლეობის 99%-ს სესხი ამძიმებს.

„კომერსანტი“

# ჰენრიკ ჰოლოლეი: „საქართველო და ევროკავშირი ტრანსპორტის სექტორში პარტნიორები არიან“

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის მისასალმებელ პანელზე „მაღალი დონის დიალოგი სარტყელი და გზის კავშირი სტაბილურობისათვის“ სიტყვით გამოვიდა ევროკომისიის ტრანსპორტისა და მობილობის გენერალური დირექტორი ჰენრიკ ჰოლოლეი.



ევროკავშირის წარმომადგენლის განცხადებით, საქართველო და ევროკავშირი არიან ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორები ტრანსპორტის სექტორში.

– საქართველოს უკავია მართლაც უნიკალური პოზიცია და ძალიან სტრატეგიული ადგილი, რადგან ის არის ქვეყანა, რომელიც ასრულებს ბუნებრივი კარიბჭის როლს რეგიონში და აკავშირებს სატრანსპორტო ჰაბებს ევროპასა და აზიას შორის, – აღნიშნა ჰენრიკ ჰოლოლეიმ.

მან ყურადღება გაამახვილა იმ პოზიტიურ დღის წესრიგზე, რომელიც საქართველოს აქვს ევროკავშირთან არსებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

– საქართველო არის ძალიან კარგი მოდელი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების და რეგულაციების აპროქსიმაციის კუთხით, – განაცხადა ევროკომისიის ტრანსპორტისა და მობილობის გენერალურმა დირექტორმა.

მან დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები კანონის უზენაესობისა და ბიზნესგარემოს განვითარების მიმართულებით.

– დღეს თქვენ უკვე ძალიან სერიოზული ინვესტიციები გაქვთ, გამჭვირვალე პროცედურების დანერგვის კუთხით და არ არის გასაკვირი, რომ საქართველო გახდა მთავარი აქტორი სარტყლისა და გზის ინიციატივაში, – აღნიშნა მან.

ჰოლოლეიმ მონაწილეებს გააცნო ევროკავშირის მიმდინარე ხედვები ჩინეთთან სახმელეთო კავშირების განვითარების თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ აუცილებელია ორ რეგიონს შორის თავსებადობისა და ურთიერთშევსების უზრუნველყოფა, რათა შესრულდეს ის მიზნები, რომლებიც სარტყლისა და გზის ინიციატივით არის განსაზღვრული, რაც, თავის მხრივ, შექმნის ახალ სატრანსპორტო კორიდორებსა და შესაძლებლობებს მონაწილე ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვისაც.

# ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით მგზავრების გადაყვანა 2018 წელს დაიწყება



– ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით მგზავრების გადაყვანა 2018 წლის პირველი ნახევრის ბოლოს დაიწყება, – ამის შესახებ პირველ არხს თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა ახმედ არსლანმა განუცხადა.

მინისტრის თქმით, მაგისტრალზე მიმდინარეობს ელექტრიფიცირების სამუშაო.

– ბაქო-თბილისი-ყარსი ისტორიული მარშრუტია, რომელიც ტურისტებისთვის საინტერესო სხვა ქალაქებსაც მოიცავს. დარწმუნებული ვარ, მაგისტრალი იქნება პოპულარული როგორც მგზავრებისთვის, ისე ტვირთებისთვის, – აღნიშნა არსლანმა.

მინისტრის განცხადებით, ეს პროექტი უფრო მეტია, ვიდრე ბაქოს, თბილისისა და ყარსის დამაკავშირებელი მაგისტრალი.

– მგზავრი ან ტვირთი ჩინეთიდან ან ყაზახეთიდან დაუკავშირდება თურქეთის გავლით ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებს, სტამბოლის გავლით – სხვა ევროპულ ქვეყნებს. ბაქო-თბილისი-ყარსს არაერთი უპირატესობა აქვს. ის ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს და ტვირთის გადაზიდვის დროს, – დასძინა მინისტრმა.

# დავით სერგეენკო: „მინისტრების ხელფასები შემცირდება“



ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, სამინისტროების რეორგანიზაციამდე წარდგენილი პირველადი ბიუჯეტი შეიცვალა და შემცირება შეეხება როგორც ადმინისტრაციულ ხარჯებს, ისე მინისტრების ხელფასებს.

– ამ სახის რეორგანიზაცია, როცა ერთეულები მცირდება, თავისთავად გამოიწვევს დანახარჯების შემცირებას, თუმცა, ეს არ იქნება მასშტაბური შემცირება, რადგან ძირითადი ფუნქციური ერთეულები, რომლებიც მუშაობდნენ, სხვადასხვა სამინისტროში, თუ ერთ სამინისტროში, მაინც გააგრძელებენ მუშაობას. შემცირება შეეხება იმ ადმინისტრაციულ სამსახურებს რომლებიც გაერთიანდებიან, – ამბობს სერგეენკო.

დეპუტატებმა ჯერ არ იციან როგორ გამოიხატება ციფრებში მთავრობის მიერ დაგეგმილი ოპტიმიზაცია. სწორედ ამიტომ კვლავ ძალაში რჩება შეკითხვები, რომლებიც დეპუტატებს, განსაკუთრებით კი ოპოზიციონერ დეპუტატებს რეორგანიზაციის ფინანსურ მხარესთან აქვთ.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობაში სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების შესახებ 13 ნოემბერს გამოაცხადა.

# საწვავი თითქმის ყოველდღიურად ძვირდება



ავტოგასამართ სადგურებზე საწვავი კიდევ გაძვირდა. 20 ნოემბრის შემდეგ ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ფასი 4-10 თეთრით არის შეცვლილი.

კერძოდ, „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე ეკო სუპერის ტიპის საწვავი 2.49 ლარი ღირს, მაშინ როცა მისი ფასი 2.45 იყო; 4 თეთრით გაძვირდა ეკოპრემიუმი და, დღეის მდგომარეობით, 2.39 ლარი ღირს, ევრო რეგულარის ფასმა 2.20-დან 2.25 ლარამდე მოიმატა; ეკო დიზელის ფასი 2.28 ლარიდან 2.27 ლარამდე შემცირდა; 4 თეთრით არის გაძვირებული „დიზელ ენერჯი“ და მისი ღირებულება 2.22 ლარია; უცვლელია ავტოგაზის ღირებულება და 1.55 ლარი ღირს.

20 ნოემბრის შემდეგ თითქმის ყველა ტიპის საწვავი გაძვირდა „ლუკოილის“ ავტოგასამართ სადგურებზეც. კერძოდ, „ევრო სუპერის“ ტიპის საწვავი 2.39 ლარია, მაშინ როცა 20 ნოემბრის მდგომარეობით მისი ფასი 2.33 იყო; 6 თეთრით გაძვირდა „პრემიუმ ავანგარდი“ და 2.29 ლარი ღირს; ევრო რეგულარის ფასი 2.13-დან 2.19 ლარამდე გაიზარდა; ასევე 6 თეთრით მოიმატა 1 ლიტრი ევროდიზელის ფასმა და 2.25 ლარი ღირს.

„რომპეტროლის“ სადგურებზე სუპერის ღირებულება 7 თეთრით გაძვირდა და 2.52 ლარია; 20 ნოემბრის შემდეგ 10 თეთრით არის მომატებული „ევრო პრემიუმის“ ფასი და 2.42 ლარი ღირს; ასევე 10 თეთრით გაძვირდა „ევრო რეგულარის“ ტიპის საწვავი – 2.30 ლარი ღირს; ეფიხ ევრო დიზელის ფასმა 2.25 ლარიდან 2.35 ლარამდე მოიმატა; 1 ლიტრი ევრო დიზელი 2.25 ლარი ღირს, მაშინ როცა 20 ნოემბრის მდგომარეობით, მისი ფასი – 2.15 ლარი იყო.

„გალფის“ სადგურებზე 1 ლიტრი პრემიუმი 2.35 ლარი ღირს, მაშინ როცა მისი ფასი 20 ნოემბრის მდგომარეობით 2.29 ლარი იყო; 6 თეთრით გაძვირდა ევრო რეგულარი და 2.29 ლარი ღირს; 1 ლიტრი რეგულარის ფასი – 2.17-დან 2.23 ლარამდეა გაზრდილი; ევრო დიზელი – 2.33 ლარი ღირს, მაშინ როცა 20 ნოემბერს მისი ფასი 2.25 ლარი იყო; 10 თეთრით გაძვირდა დიზელი და 2.25 ლარი ღირს; ასევე 10 თეთრით არის მომატებული ავტოგაზის ღირებულებაც და 1.55 ლარი ღირს. დღეის მდგომარეობით, „გალფის“ სადგურებზე არ შეცვლილა სუპერის ტიპის საწვავის ფასი და 2.45 ლარი ღირს.

„სოკარის“ ავტოგასამართ სადგურებზე კი 1 ლიტრი ნანო სუპერი 2.47 ლარი ღირს, მაშინ როცა 20 ნოემბრის მდგომარეობით 2.43 ღირდა; ნანო პრემიუმის ფასი 8 თეთრით გაიზარდა და 2.37 ლარი ღირს; რეგულარის ფასი – 2.23 ლარი; ევრო დიზელის – 2.25; დიზელის ფასი კი 2.20 ლარია.

# შეიხი ალ ნაჰიანი საქართველოში ინვესტიციის მოცულობას აორმაგებს

არაბთა გაერთიანებული საემიროების სახელმწიფო მინისტრი ტოლერანტობის საკითხებში, შეიხი ნაჰიან ბინ მუბარაკ ალ ნაჰიანი საქართველოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობას აორმაგებს.

ამის შესახებ შეიხმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.

საუბარია საქართველოში კონკრეტული, მსხვილი პროექტების განხორციელებაზე. სახელმწიფო მინისტრმა განსაკუთრებით დადებითად შეაფასა კვირიკაშვილის საქმიანობა, მთავრობის მიერ აღებული კურსი და ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები, რომლებიც, მისი თქმით, საქართველოს განვითარებას და წინსვლას ემსახურება.

შეიხმა აღნიშნა, რომ საქართველო არის უსაფრთხო ქვეყანა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოთი, სადაც ძალიან გამარტივებულია ბიზნესის წარმოების მექანიზმები, არ არსებობს კორუფცია და სწორედ ეს არის მისი მხრიდან ინვესტიციების მოცულობის გაორმაგების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი.

პრემიერ-მინისტრმა სტუმარს დეტალურად გააცნო საქართველოს მოწინავე პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში, რაც შეიხმა დადებითად შეაფასა.

მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოში არაბთა გაერთიანებული საემიროების საელჩოს გახსნის შესაძლებლობა.

შეიხმა აღნიშნა, რომ თბილისში დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და გამოთქვა მზადყოფნა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აღნიშნული იდეის განხორციელებას.



# კომპანია „ცენტრ პოინტის“ იურისტები მოწმის სახით დაკითხეს



თბილისის საქალაქო სასამართლოში სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ „საქმეზე „მიონის“ ეპიზოდზე სასამართლო სხდომა გაიმართა, სადაც კომპანიის იურისტები, მათ შორის ადვოკატი მაია ცუცქირიძე მოწმის სახით დაიკითხნენ. როგორც სხდომის დასრულების შემდეგ პროკურორმა დავით გუმბერიძემ განაცხადა, იურისტმა მაია ცუცქირიძემ ისაუბრა იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მას უშუალოდ დაკისრებული ჰქონდა ხელმძღვანელი პირების მიერ.

– მოწმემ ისაუბრა იმ ხელშეკრულებებზე, რომელიც ფორმდებოდა მენაშენეებთან და რომელთა საფუძველზეც ხდებოდა 1.500 ლარის და 370 ლარის უკანონოდ ჩარიცხვა. თანხა სრულად, უკანონოდ მიითვისა მაია რჩეულიშვილმა, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ განკარგა. თანხა შეეხებოდა დაახლოებით 400.000 ლარს, რაც უსაფუძვლოდ მოთხოვნილ იქნა მათ მიერ, – განაცხადა პროკურორმა.

პროცესზე „მიონის“ ეპიზოდზე მოწმის სახით ის იურისტები დაიკითხნენ, რომლებსაც ხელშეკრულებების გაფორმებასთან ჰქონდათ კავშირი.

ბრალდების მხარის მტკიცებით, მენაშენეებს დამატებით მოსთხოვეს კომუნიკაციებისა და მიწის რეგისტრაციისთვის თანხა, რაც, საერთო ჯამში, 400.000 ლარზე მეტს შეადგენდა. პროკურატურის მტკიცებით, იურისტების მიერ ხელშეკრულებების გაფორმებით აღნიშნული თანხა მაია რჩეულიშვილმა და „მიონის“ სამშენებლო ობიექტის ხელმძღვანელმა ქეთევან ჟორდანიამ თაღლითურად მიითვისეს.

# ხიდისთავში მანქანა მდინარეში გადავარდა – გარდაცვლილია ერთი პირი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი ხიდიდან მდინარეში გადავარდა.

შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ერთი პირი ხოლო დაშავდა ასევე ერთი ადამიანი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სსკ 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალებების დარღვევით ექსპლუატაციას გულისხმობს.

# ხანძარი სოხუმში – ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სავაჭრო ცენტრს ცეცხლი გაუჩნდა

28 ნოემბერს, ღამით, სოხუმში სუპერმარკეტ „სოხუმს“ ცეცხლი გაუჩნდა. ხანძრის შედეგად 200 კვადრატული მეტრი განადგურდა. ხანძარს 30-ზე მეტი მეხანძრე ებრძოდა. ამ დროისთვის ხანძარი ლოკალიზებულია.

სუპერმარკეტი „სოხუმი“ ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო ცენტრია.

# სადახლოზე, მტკვარსა და ყაზბეგში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს

22-26 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილო“, მტკვარი“ და

„ყაზბეგი“, ეჭვის საფუძველზე, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ს.ა-ს, ჰ.ტ-ს, ლ.რ-სა და კ.გ-ს ფიზიკური და კუთვნილი ავტომობილების დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული (19 აბი) და ფსიქოტროპული (500 აბი და 30 კაფსულა) მედიკამენტები აღმოაჩინეს. საქმეთა მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

# კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი: „ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გირგვლიანის საქმეზე დაკავების სანაცვლოდ ბრალდებულებმა 100.000 დოლარი მიიღეს“

სანდრო გირგვლიანის ეპიზოდზე კუდ-ის ყოფილი უფროსის, დავით ახალაიას ბრალდების საქმეზე კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ჩხატარაშვილი მოწმის სახით დაიკითხა.

როგორც მოწმემ სასამართლო პროცესზე განაცხადა, ბრალდებულმა დავით ახალაიამ მას გირგვლიანის საქმეზე რამდენიმე წერილის შედგენა დაავალა. მისი თქმით, შემდეგ ახალაიამ უთხრა, რომ ცენტრალურ კანცელარიაში ეს წერილები არ უნდა გატარებულიყო, ვინაიდან საქმე უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა. მიუხედავად ამისა, ჩხატარაშვილის თქმით, წერილები შესაბამის ჟურნალში მაინც გაატარა და მერე გადასცა კანცელარიას.

– დამიბარა და მითხრა, რომ საქმე გახსნილია და ის ვერსია, რომელიც შემდგომ განაჩენით დადასტურდა, მომიყვა. მითხრა, რომ თვითონ მონაწილეობდა ამ ოპერაციაში და დამავალა, რომ მომემზადებინა წერილები, რომლებიც ასახავდნენ მოვლენათა განვითარების ახალაიას ვერსიას. რამდენიმე წერილი შევადგინე. მითხრა, რომ ცენტრალურ კანცელარიაში არ უნდა გატარებულიყო ეს წერილები, რადგან უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა. მე შევადგინე ეს წერილები, თუმცა გავატარე ჟურნალში ისე, რომ არ იცოდა დათამ. ჟურნალი შევინახე ჩემს კაბინეტში და უკვე მოგვიანებით გადავეცი კანცელარიას.

რამდენიმე ხნის შემდეგ მთხოვა, რომ მენახა ის ადგილი, სადაც შემთხვევა მოხდა, რადგან,




ახალაიას თქმით, დაკავებული პირები არ აღიარებდნენ მექანიკურ დაზიანებებს და ბლაგვი საგნით მიყენებულ ჭრილობებს. ვიყავი ოქროყანაში. მთხოვა, რომ შემთხვევის ადგილი დამეთვალიერებინა და მეთქვა, შეიძლებოდა თუ არა, რომ გირგვლიანს მიეღო დაზიანებები გაქცევის დროს და მე ვუთხარი, რომ შეუძლებელი იყო, – განაცხადა ჩხატარაშვილმა.

მისივე თქმით, გირგვლიანის საქმეზე დაკავებულ პირებთან შემდეგ ეტაპზე შეხება არ ჰქონია.

– შემდგომ მე არ მქონია შეხება დაკავებულებთან, არც მომინახულებია. თანამშრომლებისგან ვიცი, რომ სასჯელს კარგ პირობებში იხდიდნენ. ინფორმაცია ვრცელდებოდა ასევე, რომ დაკავების სანაცვლოდ მათ 100.000 დოლარი მიიღეს, – განაცხადა ჩხატარაშვილმა.

ჩხატარაშვილის გარდა, პროცესზე სასამართლომ გირგვლიანის საქმის ეპიზოდზე კიდევ ერთი მოწმე, მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს ყოფილი უფროსი თამაზ ვასაძეც დაკითხა.

# ადვოკატი: „დავით ჩხატარაშვილის ჩვენება დათა ახალაიას ბრალეულობას გამორიცხავს“

ადვოკატის მტკიცებით, დავით ჩხატარაშვილის ჩვენება დათა ახალაიას ბრალეულობას გამორიცხავს. ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, თავის დროზე სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება ობიექტურად მიმდინარეობდა. ადვოკატის განმარტებით, გირგვლიანის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული, კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაიაც ინტერესდებოდა იმით, თუ რა მოხდა რეალურად ოქროყანაში.

როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებს განუცხადა, დათა ახალაიას ყოფილი მოადგილის დავით ჩხატარაშვილის ჩვენება საქმესთან კავშირშია, თუმცა დათა ახალაიას ბრალეულობას გამორიცხავს. რაც შეეხება ოქროყანაში, შემთხვევის ადგილზე ჩხატარაშვილის მისვლას, ადვოკატი ამბობს, რომ ჩხატარაშვილი ოქროყანაში სწორედ დათა ახალაიას მითითებით მივიდა.

– რაც შეეხება ჩხატარაშვილის შემთხვევის ადგილზე ყოფნას, ეს იმით აიხსნება, რომ დათა ახალაიას რეალურად აინტერესებდა მოცემულ შემთხვევაში გირგვლიანს ეს დაზიანებები შეეძლო თვითონ მიეყენებინა, თუ ვინმემ მიაყენა, ვინაიდან ბრალდებულები ამას უარყოფდნენ. სწორედ ამის დასადგენად ავიდა ჩხატარაშვილი და თავისი აზრი უთხრა ახალაიას. რეალურად ფაქტია ის, რომ ეს გამოძიება ობიექტურად მიმდინარეობდა. გამოიკვეთა ის, რომ დათა ახალაია ინტერესდებოდა იმით, თუ რა მოხდა სინამდვილეში ოქროყანაში, – განაცხადა ადვოკატმა.




# მთვრალ მდგომარეობაში სატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევაში ბრალდებულს 6 წელი მიუსაჯეს




სასამართლომ მთვრალ მდგომარეობაში ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

– ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის ბრალდებული თ.ზ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2016 წლის 31 ოქტომბერს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი თ.ზ. ქ.ბათუმში, გ.ტაბიძის ქუჩაზე, „მერსედესის“ მოდელის ავტომობილს მართავდა, რა დროსაც დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ოპელის“ მოდელის ავტომობილს შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად „ოპელის“ მძღოლი საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. თ.ზ. მიემალა გამოძიებას.

2017 წლის 31 იანვარს თ.ზ.-ს ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში), აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. სამართალდამცველებმა თ.ზ. 2017 წლის 12 ოქტომბერს სარფის საბაჟო საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ თ.ზ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბათუმის მარტის მოვლენებში მონაწილე ლაშა დეკანაძეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



ბათუმის 11-12 მარტის მოვლენების საქმეზე დაკავებულ ლაშა დეკანაძეს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მოსამართლე ლევან გელოვანმა პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდების ნაწილში ლაშა დეკანაძე გაამართლა, საქმე გადააკვალიფიცირა და მას სასჯელი წვრილმანი ხულიგნობის მუხლით დააკისრა.

დეკანაძე ერთადერთი ბრალდებულია იმ 18-დან, რომელმაც ბრალი არ აღიარა და საპროცესო გარიგება არ გააფორმა. იგი სასჯელს თითქმის 9 თვეა იხდის.

დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

# საგადასახადო სამართალდარღვევის 763 ფაქტი გამოვლინდა



20-26 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევის 763 ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 2984 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 106 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 68 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 589 ფაქტი.

# ბორჯომის მუნიციპალიტეტში 12 არარეგისტრირებული სახერხი საამქრო გამოვლინდა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ბოლო ერთი კვირის მანძილზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 12 არარეგისტრირებული სახერხი საამქრო გამოავლინეს.



სოფლებში – მზეთამზე, ახალდაბა, ყვიბისი, გუჯარეთი, ჭობისხევი – ასევე, დაბა წაღვერსა და დაბა არდაგანში, მოქალაქეებს, საცხოვრებელ სახლის ეზოებში, მოწყობილი ჰქონდათ უკანონო სახერხი საამქროები.

ამოღებულია 12 არარეგისტრირებული „ლენტური ტიპის“ სახერხი დანადგარი, 35 მ3-მდე უკანონოდ მოპოვებული წიწვოვანი სახეობის ხე-ტყე (მრგვალი მორი) და 10 მ3-მდე უკანონო, პირველადი გადამუშავების პროდუქტი – ფიცარი.

მიმდინარეობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის დაანგარიშება. ამოღებული სახერხი დანადგარები გადატანილია ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

# უკრაინელებმა პრაღაში რუსებს სცემეს

ჩეხეთის დედაქალაქში რამდენიმე უკრაინელმა და ჩეხმა სტუდენტმა უკრაინის მხარდამჭერი აქცია გამართა. მათ ეჭირათ პლაკატები, რომლებზეც ეწერა: „რუსო ოკუპანტებო, დატოვეთ ყირიმი!“ „შეწყდეს აგრესია უკრაინის წინააღმდეგ!“ და ა.შ.

მანიფესტანტებთან ორი მთვრალი რუსი ტურისტი მივიდა. ისინი შეეცადნენ, უკრაინელი გოგონასთვის პლაკატი გამოეტაცებინათ. გოგონას იქვე მყოფი მამაკაცები გამოესარჩლნენ. გაიმართა მუშტი-კრივი. მომხდურებმა უკან დაიხიეს. ერთ-ერთ მათგანს თვალზე ლურჯი ნიშანი დარჩა. როცა შემთხვევის ადგილას პოლიცია გამოცხადდა, ტურისტებმა მოითხოვეს, რომ უკრაინელები დაეპატიმრებინათ.

– მათ შუა ქალაქში ჩხუბი აგვიტეხეს და გვცემეს, – ამტკიცებდნენ ისინი.



პოლიციამ უკრაინელები არ დააკავა. ამან რუსები ალაშფოთა. მათ დაიწყეს ყვირილი: „ყირიმი ჩვენია, მოვა დრო და ყველას ყოფას ვუტირებთ!“

– ჩეხებო, გირჩევთ, 1968 წელი გაიხსენოთ, როცა აქ რუსული ტანკები შემოვიდნენ! ნუ გგონიათ, რომ ამერიკელები დაგიცავენ! ჩვენ კიდევ შემოვალთ და პრაღაში წესრიგს დავამყარებთ! – ყვიროდნენ ისინი.

უკრაინელმა პოლიტოლოგმა ფისენკომ, მიმოიხილა რა პრაღაში მომხდარი ინციდენტი, განაცხადა, რომ მედალს ორი მხარე აქვს – ერთი მხრივ, კარგია, რომ თავდასხმა მოხდა. აქცია ძალზე მცირერიცხოვანი იყო, მასში სულ 6 ადამიანი მონაწილეობდა და, რომ არა მთვრალი რუსების თავდასხმა, მსოფლიო ამის შესახებ ვერაფერს შეიტყობდა.

– ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი აქციების გამართვისას დაცვაზეც უნდა ვიზრუნოთ! კიდევ კარგი, რომ ყველაფერი მხოლოდ მუშტი-კრივით დასრულდა და არავინ დაჭრეს ან მოკლეს, – აცხადებს ფისენკო.

# ჩრდილოეთ კორეა ახალი რაკეტის გასაშვებად ემზადება

თანახმად იაპონიის მთავრობის ცნობისა, ჩრდილოეთ კორეაში ახალი რაკეტის გამოცდისათვის ემზადებიან.

იაპონიის ხელისუფლებამ ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ იაპონია ნებისმიერი სიურპრიზისათვის მზადაა.

– პროვოკაციის შემთხვევაში აგრესორი საკადრის პასუხს მიიღებს, – ნათქვამია განცხადებაში.



# პუჩდემონი – „ესპანეთში დავბრუნდები, თუ 21 დეკემბრის არჩევნებში გავიმარჯვებთ“



კატალონიის ყოფილი ლიდერი კარლეს პუჩდემონი, რომლის ექსტრადირებას ესპანური სასამართლო ბელგიიდან ითხოვს, ესპანეთში დაბრუნების პირობებს ასახელებს. პუჩდემონის თქმით, ის ესპანეთში იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ კატალონიაში 21 დეკემბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებს.

პუჩდემონი არჩევნებში ბლოკ „ერთად კატალონიისთვის“ სიით მონაწილეობს.

„თუ თქვენ ჩემი პარლამენტში ყოფნა გსურთ, მე იქ ვიქნები და თანამდებობას დავიკავებ“, – განაცხადა პუჩდემონმა სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეომიმართვაში.

ოქტომბრის ბოლოს ესპანეთის ხელისუფლებამ კატალონიის ავტონომიაში პირდაპირი მმართველობა შემოიღო, გადააყენა რეგიონული მთავრობა, დაითხოვა პარლამენტი და 21 დეკემბერს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნა.

# პესკოვი: „კადიროვი თავის პოსტზე დარჩება!“

რამზან კადიროვის განცხადებამ შესაძლო გადადგომის შესახებ მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია. ამან განსაკუთრებით კრემლი შეაშფოთა. მისთვის კადიროვი ჩეჩნეთში ერთადერთი საყრდენია.

– ჩვენ ვთვლით, რომ კადიროვი არ უნდა გადადგეს, – განაცხადა პუტინის თანაშემწე პესკოვმა.

კრემლმა კატეგორიულად უარყო მოსაზრება, რომ პუტინს კადიროვი აღარ სჭირდება, ან რომ ის პუტინს რაიმე დისკომფორტს უქმნის.

– კადიროვი თავის პოსტზე დარჩება! – ამბობს პესკოვი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# შენიშვნა
## ერთი ძველი პოემის შესახებ

ჩემს ძველ, დიდ პოემაში, რომელსაც „იესო“ ეწოდება და თავის დროზე რამდენიმე პოეტური საღამოც მიეძღვნა, წლების განმავლობაში შემაქვს შესწორებანი, მათ გარკვეულ ნაწილს პრესითაც ვაფიქსირებ. ერთ-ერთი ბოლო ცვლილებათაგანი ასეთია: პირველი ნაწილის ორასსამოცდამეორე (262) სტროფიდან უნდა იყოს ასეთი შესწორება-ჩამატება (აქ, გაზეთში, „პროზაულად“ დავწერ): „თუმცა... საქმე მაქვს ბევრი ესოდენ, რომ ზოგ თემისთვის ვერა მცალია... ან სხვა რა გითხრათ... არავის შეცვლა განმიზრახავს მე... იყვნენ, არიან... ერთს მაინც ვიტყვი ჩვენს რუსთაველზე, – ბევრ რამის გამო მეფობს ძალიან, მეტად მაღლაა შოთა რუსთველი, იგი პოეტი-იდეალია, წელგამართულად, ამაყად ვდგავარ, – აქ, ჩვენს მიწაზე, ღმერთის კვალია“... ეს, (არსებითად მაინც), მხოლოდ ერთი შესწორებაა, რომელიც რუსთველს ეხება, – პოეტთა პოეტს ყველა დროისა და ყველა ხალხისა...

**სერგი ლომაძე**

პოეტი, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ზაზამ და გოლდენმა სეზონში მეექვსე მატჩი წააგეს

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა საკრამენტო კინგსს უმასპინძლა და სეზონში მე-6 მარცხი განიცადა – 106:110.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ უორიორზი შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდა „მეფეებს" – 2 ლიდერი კევინ დურანტი და სტეფ კარი აკლდა. მათ მაგივრად სასტარტო ხუთეულში ომრი კასპი და პატრიკ მაკოუ გამოჩნდნენ.

ქართველი ცენტრი ასევე სასტარტო ხუთეულში იყო და, საერთო ჯამში, მოედანზე 14 წუთი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ფაჩულიამ 3 ქულა, 3 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა, ბურთი ორჯერ დაკარგა.



ოკლენდელები 15 მოგებით დასავლეთ კონფერენციაში კვლავ მე-2 ადგილზე არიან, ხოლო კონფერენციას ჰიუსტონ როკეტსი ლიდერობს.

გოლდენ სტეიტი მომდევნო მატჩის სტუმრად ლეიკერსთან გამართავს.

# ლევანდოვსკებს გული ამერიკისკენ მიუწევთ

პოლონეთის ნაკრებისა და მიუნხენის თავდამსხმელ რობერტ ლევანდოვსკის მეუღლეს იმედი აქვს, რომ რობერტი თავის კარიერას ლოსანჯელესში დაასრულებს.

ანნა ლევანდოვსკამ აღნიშნა, რომ მისი მეუღლე წინააღმდეგი არ იქნებოდა თავისი კარიერის დასასრულისკენ რომ მლს-ის რომელიმე კლუბში ეთამაშა. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ზუსტად ამერიკაში სურს თავისი კომპანიის ბრენდის განვითარება, ხოლო ბიზნესთან ერთად მის 29 წლის მეუღლეს ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბში შეეძლება ასპარეზობა.



– ჩვენი ოცნებაა ლოს-ანჯელესი. ეს ის ადგილია, სადაც ჩვენი ბრენდის განვითარება გვსურს. ვიმედოვნებთ, რომ რობერტი თავის კარიერას ლოს-ანჯელესის კლუბში დაასრულებს. ეს ჩვენი ოცნების ასრულება იქნებოდა.

ამგვარად, ლევანდოვსკას ოცნების მიზეზი არა სპორტული, არამედ ეკონომიკური ხასიათისაა. პოლონელი წყვილი გეგმავს ძლიერი და სტაბილური ბრენდის შექმნას „ლევანდოვსკების" სახელწოდებით. რობერტ ლევანდოვსკისა და ანნა ლევანდოვსკას ბრენდების შემდეგ მათ მე-3, საერთო ბრენდის შექმნა სურთ.

პოლონელ ფორვარდს რეკორდმაისტერთან ხელშეკრულება 2021 წლამდე აქვს გაფორმებული.

# ლივერპული იანვრისთვის მსუყე ტრანსფერებს გეგმავს

საფეხბურთო კლუბი ლივერპული კიდევ ერთხელ დაუკავშირეს პიერ-ემერიკ ობამეიანგს, რომელიც თავის ამჟამინდელ კლუბ დორტმუნდს იანვარში დატოვებს.

„წითლები" დიდი ხანია გაბონელი თავდამსხმელის მსურველებად ითვლებიან, ხოლო ჭორებს კიდევ უფრო ის ამწვავებს, რომ იურგენ კლოპი ფეხბურთელის ყოფილი მწვრთნელია.




ბილდი ავრცელებს ინფორმაციას, რომ გერმანული კლუბი მზადაა, იანვარში ობამეიანგს კლუბის დატოვების საშუალება მისცეს, თუ 54 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

შალკეს 22 წლის ნახევარმცველი ლეონ გორეცკაც იურგენ კლოპის რადარზეა, რომელმაც შესაძლოა ენფილდზე თავის თანამემამულე ემრე ჯანი შეცვალოს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მერსისაიდელები ფეხბურთელისათვის ბრძოლაში მარტონი არ არიან და მის ხელში ჩასაგდებად სხვა კლუბებიც იბრძვიან. ყველაფერს კი ის ფაქტი ამწვავებს, რომ გორეცკას სეზონის ბოლოს შალკესთან კონტრაქტის ვადა ეწურება და, შესაბამისად, მომავალ კლუბს უფასო აგენტის სტატუსით შეუერთდება.

ფეხბურთელის აგენტთან დალაპარაკება შესაძლო ტრანსფერზე 1 იანვრიდან იქნება შესაძლებელი, ანუ მას შემდეგ, რაც ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად გაიხსნება. იქამდე კი სულ რაღაც 1 თვეა დარჩენილი.

გორეცკა უფრო შემტევი ტიპის ნახევარმცველია, ვიდრე ემრე ჯანი, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ იურგენ კლოპი შეძლებს მის უფრო დაცვითი სტილის მოთამაშედ გარდაქმნას, როგორც ეს ვეინალდუმის შემთხვევაში გააკეთა.

მედიაში გავრცელებული უახლესი ჭორების თანახმად, ლივერპული თავის დიდი ხნის სამიზნეს, იულიან დრაქსლერს, იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას კიდევ ერთხელ მიუბრუნდება.

უახლოეს წარსულში გერმანელი ფეხბურთელი მერსისაიდულ კლუბს არაერთხელ დაუკავშირეს. მას ფილიპე კოუტინიოს შემცვლელადაც მოიხსენიებდნენ.

ბრიტანული მედია იტყობინება, რომ ლივერპული დრაქსლერი შეძენისთვის კონკურენციას ლონდონის არსენალს გაუწევს. აქვე აღნიშნულია, რომ ფეხბურთელის გაყიდვა პარიზულ კლუბს ფიფას ფეარ პლეის პრინციპის დაცვის გამო სჭირდება. მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს მათ 198 მილიონ გირვანქად ბრაზილიელი ნეიმარი შეიძინეს, მომავალ ზაფხულს კი კილიან მბაპეში 166 მილიონის გადახდა მოუწევთ.

აღსანიშნავია, რომ დრაქსლერს ორი ზემოთ აღნიშნული ფეხბურთელის მოსვლის შემდგომ სათამაშო დრო შეეზღუდა და, ამასთან, მას უფრო ღრმად დაწეული ნახევარმცველის პოზიციის მორგება მოუხდა.

# საქართველომ სერბეთთან ჯარიმებით წააგო

**სერბეთი-საქართველო 105:87**

**(21:21, 23:24, 30:19, 31:23)**




საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გასული ევრობასკეტის ფინალისტთან ბელგრადში წააგო. ერთია, ილიას ზუროსის გუნდს ამისთვის ვერავინ დაძრახავს. იმ შემადგენლობით, რომელიც ბერძენ სპეციალისტს მსოფლიოს შესარჩევი მატჩებისთვის ჰყავდა, როგორც გერმანიაში, სერბეთის დედაქალაქშიც ბოლომდე იბრძოლეს და მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ნაკრებს გარკვეული დრო ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ, თუმცა ბოლომდე ძალები არ შერჩათ და მესამე პერიოდში ჩამორჩენილებმა ბოლომდე ვეღარ გაძლეს.

რის ხარჯზე წავაგეთ? პირველ რიგში, დაგვაკლდა კარგი თამაში სამწამიან ზონაში, სადაც სერბები ვერცხლისწყალივით მოძრაობდნენ, კარგად მუშაობდნენ ფარზე, განსაკუთრებით შეტევაში და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. გარდა ამისა, სერბების შეჩერება ძირითადად ჯარიმების ხარჯზე გვიხდებოდა. კატასტროფული მაჩვენებელია მეტოქის ნასროლი საჯარიმოები – 47. მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი ჩვენ მხოლოდ 24 გვქონდა. სერბებმა 34 ქულა მარტო ჯარიმებით აიღეს და ამით ყველაფერია ნათქვამი.

პირველი პერიოდი ფრედ დასრულდა, ხოლო მეორეს შემდეგ, დიდ შესვენებაზე, ქართველები 45:44 იგებდნენ. ვითარება მესამე პერიოდში შეიცვალა. სერბებს საჯარიმოში უპირატესობა ჰქონდათ და ქართველები მიროსლავ რადულიცას ჯარიმებით აჩერებდნენ, რასაც სერბების საკვანძო სამქულიანები მოჰყვა.

მესამე პერიოდის შემდეგ 10 ქულით დაწინაურებულმა სერბებმა უპირატესობა იოლად შეინარჩუნეს და გაზარდეს კიდეც – ჩვენი გუნდის ლიდერებს 4-4 პერსონალური ჰქონდათ, პლუს ამას, მანუჩარ მარკოიშვილი ჯარიმების ლიმიტის გამო მოედნიდან საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე გავარდა.

საბოლოოდ სერბეთმა 105:87 მოიგო და ჯგუფში 2-დან 2 მოგებით გალიდერდა.

საქართველოს ნაკრებიდან საუკეთესოები იყვნენ მაიკლ დიქსონი 36 ქულითა და 9 პასით, მერაბ ბოქოლიშვილი 14 ქულით, მიხეილ ბერიშვილი 11 ქულით და მანუჩარ მარკოიშვილი 10 ქულით, 7 მოხსნითა და 4 პასით.

გეტყვით იმასაც, რომ საქართველოს 2 წაგება აქვს და ჯგუფის დარჩენილ 4 მატჩში შედეგიანობა სჭირდება, მომდევნო ეტაპზე რომ გავიდეს. მომდევნო მატჩებს საქართველო 22 და 25 თებერვალს ჯერ ავსტრიაში, შემდეგ კი თბილისში გერმანიასთან გამართავს.

# ძალოსანთა ნაკრები ამერიკაშია

საქართველოს ძალოსანთა ნაკრები მთავარ მწვრთნელ გიორგი ასანიძის ხელმძღვანელობით, აშშ-შია და ქალაქ ანაჰაიმში მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაერთვება, რომელიც გუშინ დაიწყო და 6 დეკემბრის ჩათვლით გასტანს.

ქართველთა გვიან ჩასვლა იმითაც იყო განპირობებული, რომ საწყის დღეებში მონაწილე არ გვყავდა. პირველი დღეს ფიცარნაგზე შოთა მიშველიძე (62კგ) გავა. შოთა 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონია. ის ა ჯგუფში იასპარეზებს.




შემდეგ რევაზ დავითაძის ჯერი დგება. 2017 წლის ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული 85 კილოგრამ კატეგორიის ა ჯგუფში გამოვა.

ქართველთათვის ყველაზე საინტერესო დასკვნითი დღეები იქნება: 5 დეკემბერს ფიცარნაგზე ანასტასია ჰოტფრიდი გავა. იგი ქალთა 90 კილოგრამი კატეგორიის ა ჯგუფში იასპარეზებს და მისგან აუცილებლად მედალს ველოდებით.

გვირგვინი კი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ლაშა ტალახაძის გამოსვლა იქნება. ლაშა +105 კგ. წონითი კატეგორიის ა ჯგუფში იასპარეზებს და მისი გამოსვლა არა მარტო ქართველი გულშემატკივრების, არამედ მსოფლიოს ძალოსანთა სამყაროს ინტერესის სფეროშია. არ არის გამორიცხული, ამერიკაში ახალი მსოფლიო რეკორდი ვიხილოთ.

# თომას ბახი რუსებს აფრთხილებს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა რუსეთი გააფრთხილა, რომ ნებისმიერი მცდელობა, გავლენა მოახდინოს სოკ-ის გადაწყვეტილებაზე, უშედეგოდ დასრულდება.

საუბარია 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის მონაწილეობაზე, რომლის შესახებაც სოკ-მა გადაწყვეტილება დენის ოსვალდის კომისიის საბოლოო დასკვნის შემდეგ უნდა მიიღოს. როგორც ცნობილია, სოკ-ის ხსენებული კომისია სწავლობს შარშან გამოქვეყნებულ რიჩარდ მაკლარენის სკანდალურ ანტიდოპინგურ ანგარიშს.




**თომას ბახი:**

– არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაგრამ ის აუცილებლად იქნება სამართლიანი . ზოგიერთების აზრით, გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა შესაძლებელია აღმასრულებელ კომიტეტზე ზეწოლით, თუმცა, მსგავსი მცდელობა უშედეგო იქნება. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები მხოლოდ ფაქტებს და კომისიის დასკვნას დაეყრდნობიან და ამის მიხედვით მიიღებენ გადაწყვეტილებას.

სოკ-ის პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, კონკრეტულად ვისი მხრიდან შეიძლება განხორციელდეს ზეწოლა.

2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის მონაწილეობასთან დაკავშირებით სოკ-ი საბოლოო გადაწყვეტილებას 5 დეკემბერს დანიშნულ აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მიიღებს.

დენის ოსვალდის კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე უკვე 14 რუსი სპორტსმენი დაისაჯა ანტიდოპინგური წესების დარღვევისთვის – 6 მოთხილამურე, 4 სკელეტონისტი, 2 მოციგურავე და 2 ბობსლეისტი. მათ სოკ-მა ჩამოართვა სოჭში მოპოვებული 9 მედალი (მათ შორის ოქროს 4 მედალი) და სამუდამოდ აუკრძალა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა.

# შედეგები

**27 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ქპრ-ბრენტფორდი ........................ 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ხეტაფე ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 2 | 0 | 34-5 | 35 |
| 2.ვალენსია | 13 | 9 | 4 | 0 | 33-12 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 13 | 7 | 6 | 0 | 21-6 | 27 |
| 4.რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 25-11 | 27 |
| 5.სევილია | 13 | 8 | 1 | 4 | 17-14 | 25 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 21-15 | 21 |
| 7.სოსიედადი | 13 | 5 | 4 | 4 | 27-24 | 19 |
| 8.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-27 | 18 |
| 9.სელტა | 13 | 5 | 2 | 6 | 24-19 | 17 |
| 10.ხირონა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-19 | 17 |
| 11.ლეგანესი | 13 | 5 | 2 | 6 | 9-12 | 17 |
| 12.ხეტაფე | 13 | 4 | 4 | 5 | 19-15 | 16 |
| 13.ესპანიოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 10-15 | 16 |
| 14.ლევანტე | 13 | 3 | 6 | 4 | 14-20 | 15 |
| 15.ეიბარი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-26 | 14 |
| 16.ბილბაო | 13 | 3 | 4 | 6 | 14-18 | 13 |
| 17.დეპორტივო | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 12 |
| 18.მალაგა | 13 | 2 | 1 | 10 | 11-28 | 7 |
| 19.ლას პალმასი | 13 | 2 | 1 | 10 | 10-32 | 7 |
| 20.ალავესი | 13 | 2 | 0 | 11 | 7-22 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-დინამო ........................ 1:3

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ბენევენტო ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 14 | 12 | 2 | 0 | 35-9 | 38 |
| 2.ინტერი | 14 | 11 | 3 | 0 | 28-10 | 36 |
| 3.იუვენტუსი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-14 | 34 |
| 4.რომა | 13 | 10 | 1 | 2 | 24-9 | 31 |
| 5.ლაციო | 13 | 9 | 2 | 2 | 33-15 | 29 |
| 6.სამპდორია | 13 | 8 | 2 | 3 | 27-18 | 26 |
| 7.მილანი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-18 | 20 |
| 8.ბოლონია | 14 | 6 | 2 | 6 | 17-17 | 20 |
| 9.კიევო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-21 | 20 |
| 10.ატალანტა | 14 | 5 | 4 | 5 | 20-18 | 19 |
| 11.ტორინო | 14 | 4 | 7 | 3 | 18-20 | 19 |
| 12.ფიორენტინა | 14 | 5 | 3 | 6 | 23-19 | 18 |
| 13.კალიარი | 14 | 5 | 0 | 9 | 13-24 | 15 |
| 14.უდინეზე | 13 | 4 | 0 | 9 | 18-24 | 12 |
| 15.კროტონე | 14 | 3 | 3 | 8 | 11-27 | 12 |
| 16.სასუოლო | 14 | 3 | 2 | 9 | 8-24 | 11 |
| 17.ჯენოა | 14 | 2 | 4 | 8 | 12-20 | 10 |
| 18.სპალი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-23 | 10 |
| 19.ვერონა | 14 | 2 | 3 | 9 | 12-29 | 9 |
| 20.ბენევენტო | 14 | 0 | 0 | 14 | 6-34 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-ბრეშა ........................ 1:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-ოსერი ........................ 2:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ფეირენსე ........................ 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სკა ენერგია-ლოკომოტივი ........................ 1:2

სპარტაკი-ზენიტი ........................ 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-პლატანიასი ........................ 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ბაშაქშეჰირი ........................ 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ზლინი-სლოვაცკო ........................ 2:1

იაბლონეცი-სლავია ........................ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-ვისლა ........................ 3:3

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ორხუსი ........................ 4:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ეკა კვალიაშვილს ფონდმა „ქართუმ“ სტიპენდია დაუნიშნა

მომღერალ ეკა კვალიაშვილს ფონდმა „ქართუმ“ სტიპენდია დაუნიშნა. ინფორმაცია ამის შესახებ მამა პეტრემ (კვარაცხელია) გაავრცელა:

– უბედნიერესი ვარ, თქვენც უნდა გითხრათ. ეკა კვალიაშვილს სტიპენდია დაენიშნა... არ ჩაუვლია ცუდად ამ განწირულ სულისკვეთებას... იხარებს სული ჩემი უფლისა მიმართ...

რამდენიმე დღის წინ მამა პეტრემ გაავრცელა ინფორმაცია მომღერლის მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებითაც. მამაომ მომღერალთან ერთად გადაღებული ფოტო სოციალურ ქსელში განათავსა და საზოგადოებას ამცნო, რომ ეკას, ჯანმრთელობასთან ერთად, ყოფითი პრობლემებიც ჰქონდა:



– ეს მშვენიერი ქალბატონი ეკა კვალიაშვილია... ალბათ, ერთსულოვანი ვართ იმაში, რომ გამორჩეული და უნიჭიერესი შემოქმედია... არავის ვაკნინებ, უბრალოდ, ეკა ნამდვილი, ხარისხიანი, ეპოქალური, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია... ამაყი ვარ, რომ ჩვენს რეალობაში იშვა, მაგრამ ნერვებიც მეშლება, რადგან ჩვენს სინამდვილეშია და ვერ ვუფრთხილდებით... უმძიმეს დაავადებასთან ერთად, მისი ყოფითი მდგომარეობაც არანაკლებ მძიმეა... ის რომ ევროპაში ან შტატებში მოღვაწეობდეს, ყველას ემახსოვრებოდა... რისი ბრალია?! იქნებ იმის, რომ გემოვნების დეფიციტს განვიცდით... ან იქნებ ეკას ბრალიც არის, უფრო მძაფრად რომ არ გვახსენებს თავს. თუმცა, ნამდვილი ნიჭიერება არ ყვირის, მას შემჩნევა უნდა. ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ, ვერ ვხედავთ, ვერ ვგრძნობთ... მრცხვენია, ძალიან მრცხვენია, რომ ასე ხდება... თუ ხელისუფლება უძლურია, ჩვენ გავძლიერდეთ, მივცეთ მოტივაცია ამ საოცარ მომღერალს, რომ დადგეს სცენაზე და დაგვიბრუნოს მივიწყებული ხარისხი... სიკვდილამდე უნდა დაფასდეს ხელოვანი... სიკვდილის მერე ნუგეში მიცვალებულზე გვირგვინივით იქნება... მომინდა შევხმიანებოდი და აღმოჩნდა, რომ მობილურიც არ ჰქონია... უცხოელების ჩამოსაყვანად ათასობით, მილიონობით ლარი იხარჯება. არ ვამბობ, რომ ცუდია ასეთი ფაქტები. ოღონდ ჯერ ჩვენი დავაფასოთ... როგორც მინიმუმ, მშიერი მაინც არ მოვკლათ... ეჰ, ჩემო ეკა, ჯერ კიდევ როდის იმღერე „ღარიბი და მოწყენილი ვის რად უნდა?!“ მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენ გვინდა, გვჭირდება და გვიყვარს, ეკა...

მამაომ მოინდომა და მომღერლისთვის სტიპენდიის დანიშვნა შეძლო:

– დიდი მადლობა მინდა ვუთხრა პირველ რიგში უფალს, რომელმაც დამამეგობრა მამა პეტრესთან, რომლის პოსტში ჩემ მიმართ გამოხატული გულისტკივილის შემდეგ შეიტყო ყველამ ჩემი პრობლემების შესახებ და დღეს ვმადლობ მას, რომ მისი ძალისხმევით დამენიშნა სტიპენდია. მადლობა მამა პეტრე კოლხს და ქართუ ფონდს ყურადღებისთვის და გულისხმიერებისთვის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# რეალი კიკო კასილიას ტრანსფერზე დააყენებს



მადრიდის რეალი მეკარე კიკო კასილიას იანვარში ტრანსფერზე დააყენებს.

კასილია რეალის მეორე მეკარეა კეილორ ნავასის შემდეგ და რეალის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ კასილია არ არის სათანადო დონის მეკარე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წლევანდელ სეზონში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა.

რეალი, სავარაუდოდ, ახალი გოლკიპერის ყიდვას შეეცდება, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ვისზე შეაჩერებენ არჩევანს სამეფო კლუბის ხელმძღვანელები.

კასილია რეალში გადასვლამდე ბარსელონის ესპანიოლის ღირსებას იცავდა.

# უსმან დემბელე ორ კვირაში სრული დატვირთვით დაიწყებს ვარჯიშს



ბარსელონის ფრანგი ფორვარდი უსმან დემბელე ორ კვირაში სრული დატვირთვით დაიწყებს ვარჯიშს.

ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში გავრცელდა.

დემბელემ ტრავმა სექტემბრის შუა რიცხვებში მიიღო და ამის შემდეგ ის ლაზარეთში იმყოფება.

დემბელეს დაბრუნებას იანვრის შუა რიცხვებში ვარაუდობდნენ, მაგრამ შესაძლოა ფრანგი ფორვარდი უფრო მალე ვიხილოთ მოედანზე.

23 დეკემბერს ბარსელონისა და რეალის დაპირისპირება შედგება და დემბელეს ძალიან უნდა, ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს.

# ლიოვის მომავალს ბაიერნს უკავშირებენ

როგორც ავტორიტეტული გერმანული ინტერნეტგამოცემა ბილდი იუწყება, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოაჰიმ ლიოვი შესაძლოა მომავალში მიუნხენის ბაიერნის მთავარ მწვრთნელად მოგვევლინოს.

რამდენიმე ხნის წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიუნხენელებს განზრახული აქვთ ლიოვი 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კლუბში მოიწვიონ, თუმცა თვითონ მწვრთნელმა ეს ინფორმაცია უარყო. ამავე დროს, ბავარიელთა ამჟამინდელი მთავარი მწვთნელის იუპ ჰაინკესის კონტრაქტი რეკორდმაისტერთან მხოლოდ 2017-18 წლის სეზონის ბოლომდე მოქმედებს, ხოლო კლუბის პრეზიდენტი ული ჰიონესი იმედოვნებს, რომ 72 წლის სპეციალისტს კიდევ ერთი წლით მუშაობაზე დაითანხმებს.

თუმცა ჰაინკესმა ამ საკითხზე გადაჭრით განაცხადა:

– ჰიონესის სიტყვები ჩემ შესახებ? ყოველთვის ერთი და იგივე კითხვა მეორდება, მაგრამ ჩვენ ხომ ნათლად აღვნიშნეთ, რომ მე მხოლოდ სეზონის ბოლომდე ვიმუშავებ. მანამდე კი კლუბისათვის უფრო ადვილი იქნება შესაბამისი დონის მწვრთნელის მოძებნა. ჰიონესი, უბრალოდ, ემოციებს აჰყვა. აშკარაა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლომდე საკითხი გადაიჭრება.



ბილდზე დაყრდნობით, ლიოვი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს დატოვებს და 1 წლის შემდეგ შეძლებს ბაიერნის ჩაბარებას. აღსანიშნავია, რომ გერმანულ საფეხბურთო კავშირთან მისი კონტრაქტი 2020 წლის 31 ივლისამდეა გათვლილი.

# გარეტ ბეილი რეალში უკმაყოფილოა



მადრიდის რეალის უელსელი ფეხბურთელი გარეტ ბეილი თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა და შესაძლოა მან მალე რეალი დატოვოს. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა ჯონათან ბარნეტმა ისაუბრა.

ბარნეტის თქმით, მის კლიენტს სულ უფრო ნაკლები სათამაშო დრო ეძლევა, რაც ტრავმებით არის განპირობებული.

– გარეტი ყველაფერს აკეთებს, რომ გულშემატკივარს თავი მოაწონოს, მაგრამ ზოგჯერ გარჯა სათანადოდ არ უფასდება, რის გამოც გულნატკენია, – განაცხადა ჯონათან ბარნეტმა.

ბეილის ყიდვა ბევრ ინგლისურ კლუბს სურს, ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, ბეილი ინგლისში დაბრუნდეს.

# იბრას რეკორდი



მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის მე-5 ტურის შეხვედრაში ა ჯგუფის ლიდერი მანჩესტერ იუნაიტედი შვეიცარიულ ბაზელს სტუმრად დაუპირისპირდა და ჯგუფში პირველად ქულები დაკარგა. მატჩი მასპინძლების გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა იუნაიტედის შვედმა თავდამსხმელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც მიიღო, რომელიც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს შეხვედრა ზლატანისთვის იუნაიტედის მაისურით ჩატარებული შეხვედრებიდან ჩემპიონთა ლიგაზე პირველი გამოდგა, იბრაჰიმოვიჩი მოედანზე სათადარიგო შემადგენლობიდან ჩაერთო და ეს ცვლილება ჩემპიონთა ლიგის არსებობის ისტორიაში მნიშვნელოვანი გამოდგა მისთვის.

კერძოდ, იბრაჰიმოვიჩი გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობა 7 სხვადასხვა გუნდის სახელით შეძლო. მსგავსი რეკორდი პირველია აღნიშნული ტურნირის ისტორიაში.

იბრას გუნდების ჩამონათვალი ასეთია: აიაქსი (ჰოლანდია), იუვენტუსი (იტალია), ინტერი (იტალია), ბარსელონა (ესპანეთი), მილანი (იტალია), პსჟ (საფრანგეთი), მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ემრე ჯანმა ტრავმა მოიშუშა

ლივერპულის გერმანელმა ფეხბურთელმა ემრე ჯანმა ტრავმა მოიშუშა და ვარჯიშს სრული დატვირთვით აგრძელებს.

ჯანმა ტრავმა გერმანიის ნაკრების თამაშის დროს მიიღო და ამის გამო ლივერპულის რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა.

ლივერპულის მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ძალიან უხარია ჯანის დაბრუნება, რადგან ის ლივერპულისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.

ლივერპულს დაუბრუნდა ადამ ლალანაც, რომელიც სეზონის დასაწყისიდან ლაზარეთში იმყოფებოდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 29 ნოემბერი



**ვერძი** – პარტნიორთან ურთიერთობაში მძიმე გამოცდა გელით. საკუთარ პრინციპებს ნუ დათმობთ. **კურო** – ემოციებს ნუ აჰყვებით. საღად იაზროვნეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **ტყუპები** – დღეს შესაძლოა ის ადამიანი გაიცნოთ, რომელიც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის. მზად იყავით საინტერესო სიახლეებისათვის. **კირჩხიბი** – პრობლემების მოგვარებაში ნათესავები ან მეგობრები გეხმარებიან. გამორიცხული არ არის ფინანსური ხარჯები. **ლომი** – შექმნილი სიტუაცია გაიძულებთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ. **ქალწული** – კოლეგებთან რთული და დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. აკონტროლეთ თითოეული სიტყვა და მოქმედება. უმჯობესია, თუ განმარტოვდებით. **ღრიანკალი** – ადამიანების მიმართ აგრესიას თუ გამოავლენთ, საპასუხოდ ასევე აგრესიას მიიღებთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. **მშვილდოსანი** – ფული ეკონომიურად ხარჯეთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **თხის რქა** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მცირედი გადაღლაც კი გეკრძალებათ. სიზმარი, სავარაუდოდ, აგიხდებათ. **მერწყული** – დასახული მიზნის მისაღწევად სიმტკიცე და ნებისყოფა გჭირდებათ. თქვენს ღირსებას ნურავის შეალახვინებთ. **თევზები** – ცვლილებების დღეა. მოსალოდნელია ფინანსური კრიზისი. ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 2. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი იაპონიის ნავსადგური; 5. დაბალხარისხოვანი თამბაქო; 6. გრძელ დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 9. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სასადილოების, დუქნების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. მთათა და ქედების სახელწოდება შორეულ აღმოსავლეთსა და კამჩატკაზე; 16. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 18. პატარა თევზსაჭერი გემი; 20. ინდოეთის ოკეანისპირა პოპულარული კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 23. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 24. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 25. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 26. მაღალყელიანი რეზინის კალოში.

**თარაზულად**: 7. ადამიანის ყოფიერების, ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 9. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯებით; 13. ყველაზე დიდი მდინარე ავსტრალიაში; 15. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 17. უჩვეულო, მოულოდნელი აზრი, მსჯელობა, ქმედება; 19. ლუდის სასმელი კათხა; 21. ტროპიკული, მარადმწვანე ხვიარა მცენარე; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ვერდის ოპერა; 28. მაღალი კლასის კომფორტული კვების ობიექტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მენჯი; 2. ტრალი; 3. ბაობაბი; 4. იგლუ; 5. იედო; 6. კასაცია; 9. „ჰემოთერაპია; 10. ბაღდავაძე; 11. „ავასირხვა“; 14. ზებრა; 16. გრიფი; 18. ბროკერი; 20. „შავლეგო“; 23. ვერა; 24. დუბაი; 25. პაპყი; 26. კურუ.

**თარაზულად:** 7. „განდაგანა“; 8. ბატერფლაი; 12. კაკაო; 13. კვიცი; 15. ფხოვი; 17. ბანდეროლი; 19. ურალი; 21. თოიძე; 22. სვავი; 27. გრავირება; 28. „სპორტინგი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფარმაკოპეა; 2. ხანუკა; 3. ჰიგინსი; 4. სენტო; 5. შატბერდი; 6. ხარკი; 7. გირკანი; 9. კოვბოი; 13. სუფსა; 17. ქუჯი; 18. „აია“.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 3. „ჰამასი“; 8. ჩანახი; 10. „პუბლიკა“; 11. ქარვა; 12. ბონდერი; 14. კორომი; 15. ფაიფური; 16. დაქსი; 19. ნასერი; 20. „იავნანა“; 21. პოლისი.

# გიორგი კეკელიძე: „სხვისი სიცოცხლე უდრის შენსას“



ასე ეხმაურება მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე გასული კვირის ყველაზე მძიმე მოვლენებს ჩანაწერით „ამ დღეებში დაღუპულთა გამო“:

– სიცოცხლე ეს არის... მე შემთხვევით ვწერ ამ ტექსტს და შენ შემთხვევით კითხულობ. იოლად შეიძლება, ორივე იქ ვყოფილიყავით, აი, იქ, სადაც ის ბიჭები დაიღუპნენ ან ერთი დღით ადრე სხვა ბიჭი სპეცრაზმელი.

ასეთი დაფიქრებები თუ წაგიყვანს რთული დასკვნისკენ და ადამიანად ყოფნის უმთავრესი ნიშნისკენ: სხვისი სიცოცხლე უდრის შენსას. დიახ, სხვისი სიცოცხლე შენსას გულისხმობს. ცალკე ეს სიტყვები ჩვეულებრივი შეცოდებით შეიძლება თქვა და მერე საქმე გააგრძელო. ცხოვრებას საცნაური წეს-დათქმები აქვს, წვრილმანებით თუ მსხვილმანებით გითრევს თავისკენ და უცხოს სიკვდილს გავიწყებინებს. ამას ვერ შეერკინები და ნურც ვეცდებით, ყალბად შევეჭიდოთ.

მაგრამ მაშინ, როცა წუთით მაინც თავს დავაძალებთ და გავიაზრებთ საკუთარი სიცოცხლის შემთხვევითობას, მივხვდებით, რატომ არის ყველა ადამიანი უმნიშვნელოვანესი, წუთით მაინც შევიგრძნობთ, რატომ უნდა გავუფრთხილდეთ სხვას და ეს გაფრთხილება რატომ უნდა ვაქციოთ აუცილებელ წამად სხვა დანარჩენ წუთებში.

ჩემი სამძიმარი დაღუპულთა ოჯახებს. მთელი ეს ხანი ვფიქრობდი მათზე, მაგრამ ვერაფერი დავწერე. ახლაც მხოლოდ ამის თქმა შევძელი.

# გულიკო კარიაულს ხელოვნების ქურუმი მიანიჭეს




კონსერვატორიის საპატიო პროფესორ გულიკო კარიაულს ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ხელოვნების ქურუმი მიანიჭეს.

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისთვის, ახალგაზრდა თაობების სულიერ აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გულიკო კარიაული საპატრიარქო სიგელითაც დაჯილდოვდა.

მუსიკოსის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო გალა-კონცერტი კონსერვატორიაში გაიმართა, სადაც მისმა აღზრდილებმა, მსოფლიოში ცნობილმა ოპერის მომღერლებმა ნინო სურგულაძემ, ქეთევან ქემოკლიძემ, მიხეილ შეშაბერიძემ, თეონა დვალმა არიები შეასრულეს. ამავე ღონისძიების ფარგლებში კონსერვატორიის 100 წლის იუბილეც აღნიშნა.

გულიკო კარიაული ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში იყო თბილისის საოპერო სტუდიის სოლისტი, საქართველოს ფილარმონიის სოლისტი, თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი ვოკალური მიმართულებით, თბილისის კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული მუსიკალური სკოლის პედაგოგი ვოკალური მიმართულებით. იუბილარმა მუსიკოსმა სტაჟირება მოსკოვის კონსერვატორიაში გაიარა, ათეული წლებია, თბილისის კონსერვატორიის პედაგოგია. პედაგოგიურ მოღვაწეობას გულიკო კარიაული ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ გიმნაზიაშიც ეწევა, სხვადასხვა წლებში კი ქუთაისსა და ბათუმში მასტერკლასებს ატარებდა.

# კახა კუხიანიძე საავადმყოფოში მოხვდა



მომღერალი კახა კუხიანიძე საავადმყოფოში მოხვდა.

– ეს გათახსირებული ვირუსი რამდენი დღე ბობოქრობს მითხარით, გთხოვთ და რომელი მედიკამენტი ამარცხებს სწრაფად, იკითხა მომღერალმა, თუმცა თვითნებურად დაავადებასთან ბრძოლა ვერ შეძლო და ექიმების დახმარება დასჭირდა.

საავადმყოფოში გადაღებული ფოტო მომღერალმა სოციალურ ქსელში გაავრცელა, რამაც გულშემატკივრების შეშფოთება გამოიწვია.

# პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები დაიწყო



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან 40 წელი სრულდება.

ამ თარიღის აღნიშვნა სხვადასხვა აქტივობით არის დაგეგმილი. პირველი ღონისძიება სამების საკათედრო ტაძარში დაგეგმა. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში დაიგეგმა შემოქმედებითი საღამო სახელწოდებით „უფლის სიყვარული გადაგვარჩენს“, რომელიც მისი უწმინდესის აღსაყდრების მე-40 წლისთავს მიეძღვნა.

ღონისძიებაზე პირველად გამოიფინა აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა მხატვრის, საქართველოსა და აფხაზეთის მხატვართა კავშირის წევრ მადლენა ბარაბაძის ნამუშევრები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ფერწერასა და გრაფიკაში შესრულებული 100-მდე ნამუშევარი, პორტრეტები, პეიზაჟები, რელიგიურ და სამშობლოს თემაზე შესრულებული ნახატები.

პატრიარქის აღსაყდრებისადმი მიძღვნილი გამოფენის დათვალიერება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

# რუსთაველის საზოგადოება თბილისის უნიკალური არქიტექტურის განადგურებას აპროტესტებს



საქართველოს რუსთაველის საზოგადოება თბილისის უნიკალური არქიტექტურის განადგურებას აპროტესტებს. მისი პრეზიდენტი, მწერალი და პოეტი დავით შემოქმედელი, ამ თემაზე სასაუბროდ მწერალთა სახლში 29 ნოემბერს საგანგებო დისკუსიას გამართავს:

– საგანგაშო მდგომარეობაა, თბილისის უნიკალური არქიტექტურა სახეს კარგავს. უგემოვნობა და უსახურობა ბატონდება. დაყოვნება აღარ შეიძლება, დროა, ქართველმა საზოგადოებამ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ მტკივნეული პრობლემის მიმართ. „თბილისი დღეს და ხვალ არქიტექტურულ ასპექტში“ – ასე ეწოდება შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი დავით ანდრიაძე და არქიტექტორები ვახტანგ დავითაია და გიგა ბათიაშვილი.

# „ნიჭიერის“ პირველი ნახევარფინალიდან ინტერნეტის რჩეული „წეროები“ გახდა

„ნიჭიერის“ პირველ ნახევარფინალში მაყურებელმა და ჟიურიმ თავიანთი რჩეულები დაასახელეს. შოუს მსვლელობისას სულ დაფიქსირდა 32.393 ხმა. ამ ხმების 42.001 პროცენტი მიიღო მომღერალმა კახაბერ ჭუმბურიძემ და ის ხალხის რჩეული გახდა. მეორე ფინალისტი კი ჟიურიმ დაასახელა და ის ქიმიკოსი გიორგი კოტორაშვილი აღმოჩნდა.



„ნიჭიერის“ ფინალში მოსახვედრად დარჩენილი 6 ფინალისტისთვის ბრძოლა ამით არ დასრულდა. 6-ვე ნახევარფინალისტის ფოტო ინტერნეტში განთავსდა და, ვისაც ყველაზე მეტი გაზიარება ჰქონდა, გამარჯვებულიც ის გახდა. პირველი ნახევარფინალიდან ინტერნეტის რჩეული გამოვლინდა, წეროვანიდან შეკრებილი გოგონების ჯგუფმა „წეროებმა“ ინტერნეტ-მომხმარებლის მხარდაჭერის საშუალებით მიიღო შანსი, რომ ნახევარფინალების ბოლოს ფინალისტობისთვის მთავარ ბრძოლაში ჩაერთოს.

სულ კონკურსანტების მხარდასაჭერად კონკურსის დასრულებამდე დაფიქსირდა 283.754 გაზიარება, აქედან მათი უმრავლესობა 130.734 – „წეროების“ სასარგებლოდ.

# გიორგი გაგლოევი ავარიაში მოყვა



მსახიობი და ტელეწამყვანი გიორგი გაგლოევი ავარიაში მოყვა.

ინფორმაცია მან თავად გაავრცელა და ქვეითად მოსიარულეების მისამართით უხამსი სიტყვებიც არ დაიშურა:

– დედის ტ..კი უნდა დაახურო თავზე ყველა იმ ქვეითს, ვინც არღვევს და ხელს უშლის მძღოლებს მოძრაობაში.

როგორც გაირკვა, მსახიობი კარგად არის, მაგრამ მანქანა – არა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 3. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 4. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ხმელთაშუა ზღვისპირა პოპულარული საკურორტო ზონის სახელწოდება საფრანგეთსა და იტალიაში; 9. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. პოპულარული ბარ-რესტორანი ძველ თბილისში; 17. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 18. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე.

**თარაზულად**: 1. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 3. მთვარიანი ღამე; 8. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 14. მოხეტიალე ცირკი; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მდინარე ლონდონში; 19. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შედეგად წარმოშობილი შთამომავალი; 20. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




# სამგლოვიარო განცხადებები

ტელეკომუნიკაციის კომპანია „ახალი ქსელების“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბერდია გვარამიას მამის, საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკის, შესანიშნავი ადამიანის

**გივი გვარამიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ოთხშაბათი 29 ნოემბერი**

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მოგზაური დორა" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "სპორტის დაფა" 12.40 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.25, 22.15 ტ/სერ. "**სახლმწიფო მდივანი**" 14.30 დოკ/ფ "ჯანმრთელობა-მუდამ კარგ ფორმაში" 15.30, 05.45 დოკ/ფ "ესპანეთის ხელოვნება" 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30, 06.45 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 23.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.15 მხ/ფ "**ბურლესკი**"(კ.აგილერა) 03.10 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 04.10 მხ/ფ "**სოლტი**" (ა.ჯოლი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 პრაიმშოუ 23.30 სერ. "**დიდი შესვენება**" 6 სერ. 00.10 მხ/ფ "**ზულუ**" 01.50 მხ/ფ "**ციმბერლინი**" 03.40 მხ/ფ "**სამოთხის პროექტი**" 05.15 მხ/ფ "**ჰანა**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.00 კურიერი 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ბზარი**" - დასკვნითი 22.00 ნანუკას შოუ 23.30 კომედი შოუ 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

tv პირველი 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 პოლიტმერტი 23.00 უცხოეთის ამბები 23.30 ღალატი

GDS 08.00 ან/ფ"ატომი" 09.00 სერ. "**შავი კოდი 2**" 11.00 მხ/ფ "**ჩლუნგი და უფრო გონებაჩლუნგი**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები 5**" 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი 6**" 21.00 სერ. "**ლურჯის ელფერი**" 22.00 მხ/ფ "**ნიუ იორკის ბანდები**" 01.10 მხ/ფ "**საწვრთნელი დღე**" 03.20 მხ/ფ "**დაქირავებული მკვლელები**" 05.35 მხ/ფ "**ვარსკვლავური დესანტი**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 01.20, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ინტერვიუ ვანიჩკასთან 00.00 მხ/ფ "**საოტაჟი**" 3.40 ცენზურის გარეშე

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 ქრისტიანული ხელოვნება "ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია" 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-გრძელცხვირა მაიმუნების საიდუმლო სამყარო" 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 საუბრები სტუდიაში "გია მაჩაბელი, გია ანჩაბაძე" 12.05 ღია აუდიტორია "ვახტანგ ლიჩელი" 12.50 გაცოცხლებული წარსული "საგალობელი" 13.30 ან/ფ "მეფე ლომი" 14.40 სალბუნი "ტრანსპლანტაცია" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები-თუშეთის დაცული ტერიტორია" 15.50 კონცერტი 17.05 ერთსულოვანი ოჯახი "დიაკონიძეები" 17.35 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 დ/ფ "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" VI 18.25 პატერიკი-"როგორ გახდა უმოწყალო კაცი მოწყალე" 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.15 მხ/ფ "**განაჩენი**" 20.40 ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 ჩვენი ფონდი 21.35 ეპოქის სახელები 22.20 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკ. მხ/ფ "ბაკურციხელი ხევსური" 23.45 სიბრძნისმეტყველება 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 კონცერტი

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

29 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.7183

ევრო — 3.244

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6297

100 რუსული რუბლი — 4.6829

## ამინდის პროგნოზი 29 ნოემბრისთვის




## 30 ნოემბრიდან




ჯემალ ჩახავა

**ქურდები და არიფები**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

**ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



## იუმორი

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– საიდან მოდის ეს სუნი?

– მარცხნივ რომ ცხოვრობს მეზობელი, ქათამს წვავს.

– და ეს უცნაური ხმები, კვნესა-კრუსუნი, საიდან ისმის?

– მარჯვნივ რომ ცხოვრობს მეზობელი, ისიც... ქათამს წვავს...

•••

დილით ცოლი ქმარს ეკითხება:

– არ გინდა, ერბოკვერცხი მოგიმზადო ლორით, ფორთოხლის წვენი და ყავა გაგიმზადო?

– იცი რა, ამ ვიაგრამ მადა საერთოდ დამაკარგვინა.

შუადღისას ცოლი ქმარს ისევ ეკითხება:

– წვნიანი არ გინდა? კიდევ კატლეტი შემწვარ კარტოფილთან ერთად?

– არა, ამ ვიაგრამ მადა საერთოდ დამაკარგვინა.

საღამოს ცოლი ქმარს ისევ ეკითხება:

– არ ისადილებ? ხაჭაპურსაც გამოგიცხობ.

– ძვირფასო, მაპატიე, მაგრამ ამ ვიაგრამ მადა საერთოდ დამაკარგვინა.

– იცი რა? შენ როგორც გენებოს, მაგრამ მე მომშივდა! გეყოფა, უნდა ავდგე!

•••

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ექიმო! მიშველეთ! რა მჭირს?

– დამშვიდდით, თქვენ, უბრალოდ, ჩვეულებრივი ფაღარათი გაქვთ.

– ეს როგორ? ფაღარათი სახეზე?

– უი, ეს სახეა?!

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– აბა, რას გვეტყვით, რა გაწუხებთ?

– ექიმო, ხმები მესმის.

– და რას გეუბნებიან?

– მეკითხებიან, რა მაწუხებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

LX.GE

3,000 ₾ მდე

სწრაფი LX+ სესხი

რა თანხა გჭირდებათ?

3,000 ₾

რა ვადით?

24 თვე

თავდებობის და გირაოს მოთხოვნის გარეშე



24 თვე

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

WWW.LX.GE